



საგადასახადო დანახარჯების შეფასების ანგარიში



საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
2022 წელი, ნოემბერი

აკრონიმები	4
თავი I. შესავალი.....	5
თავი II. საბაზისო (ბენჩმარკული) საგადასახადო სისტემა.....	8
II.a საბაზისო საგადასახადო სისტემა პირდაპირი გადასახადებისთვის	9
II.b საბაზისო საგადასახადო სისტემა დამატებული ღირებულების გადასახადისთვის (დღგ).....	13
II.c სხვა დანახარჯების კლასიფიკაცია.....	16
თავი III. საგადასახადო დანახარჯების ნუსხა (კატალოგი)	17
III.a მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების საგადასახადო დანახარჯები.....	17
III.b დამატებული ღირებულების გადასახადის საგადასახადო დანახარჯები	20
თავი IV. მთლიანი შეფასებული საგადასახადო დანახარჯები საქართველოსთვის.....	22
IV.a მოგების და საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო დანახარჯები	23
IV.a.1 ძველი მოგების გადასახადი (Old CIT).....	27
IV.a.2 განაწილებული მოგების გადასახადი (ესტონური მოდელი) (DPT).....	30
IV.a.3 საშემოსავლო გადასახადი (PIT).....	33
IV.a.4 სხვა მოგებისა და საშემოსავლო გადასახადები	35
IV.b დამატებული ღირებულების გადასახადის საგადასახადო დანახარჯები	36
თავი V. დასკვნა	41
დანართი 1. საგადასახადო დანახარჯების კლასიფიკაცია	43
დანართი 2. საგადასახადო დანახარჯების ნუსხის დეტალური აღწერა.....	44
დანართი 3. მოგებისა და საშემოსავლო გადასახადზე საგადასახადო დანახარჯების აღწერა ..	46
დანართი 4. დამატებული ღირებულების გადასახადის საგადასახადო დანახარჯების აღწერა.	56
დანართი 5: მოგების და საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო დანახარჯების შეფასების მეთოდები და მონაცემები, სენსიტიურობის ანალიზი	67
5.a მონაცემები და მეთოდოლოგია	67
5.a.i ძველი მოგების გადასახადის (Old CIT) საგადასახადო დანახარჯი	67
5.a.ii საგადასახადო დანახარჯები განაწილებული მოგების გადასახადიდან (ესტონური მოდელი) (DPT).....	67
5.a.iii საგადასახადო დანახარჯები საშემოსავლო გადასახადიდან (PIT)	68
5.b სენსიტიურობის ანალიზი.....	70
5.b.i საპროცენტო შემოსავლის საგადასახადო დანახარჯი.....	70
5.b.ii “მცირე ბიზნესის სტატუსის” მქონე საწარმოების საგადასახადო დანახარჯები	72
დანართი 6: დღგ-ს საგადასახადო დანახარჯის (VATE) შეფასების მეთოდები და მონაცემები, სენსიტიურობის ანალიზი.....	75

6.a მეთოდოლოგია და მონაცემები	75
6.b სენსიტიურობის ანალიზი.....	78
გამოყენებული ლიტერატურა	80

აკრონიმები

CIT	ძველი მოგების გადასახადი
DPT	განაწილებული მოგების გადასახადი
DPCIP	განაწილებული მოგება, რომელიც გათავისუფლებულია მოგების გადასახადიდან
EU	ევროკავშირი
FC	უცხოური ვალუტა
FIZ	თავისუფალი ინდუსტრიული ზონა
GEOSTAT	სტატისტიკის ეროვნული სამსახური
GIR	მიღებული მთლიანი შემოსავლები
GRS	საქართველოს შემოსავლების სამსახური
IMF	საერთაშორისო სავალუტო ფონდი
IRP	საპროცენტო განაკვეთის პარიტეტი
ITE	მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების საგადასახადო დანახარჯები
MoF	ფინანსთა სამინისტრო
PIT	საშემოსავლო გადასახადი
RIA	რეგულირების გავლენის შეფასება
SUT	რესურსების და გამოყენების ცხრილი
TP	დაბეგვრადი პროპორციები
USAID	აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო
VAT	დამატებული ღირებულების გადასახადი
VATE	დამატებული ღირებულების გადასახადის საგადასახადო დანახარჯები

თავი I. შესავალი

ეკონომიკური, სოციალური თუ გარემოს დაცვითი პოლიტიკის ფარგლებში დასახული ამოცანების მიღწევის მიზნით, სხვადასხვა ქვეყანა ზოგჯერ ეკონომიკური სუბიექტების სტიმულირებას ახდენს საგადასახადო პოლიტიკის (შეღავათების) გამოყენებით. აღნიშნულის მიზანი შესაძლოა იყოს, მაგალითად, დანაზოგებისა და ინვესტიციების წახალისება, შიდა წარმოების დაცვა, ზოგიერთი დასახელების საქონლისა და მომსახურების წარმოების ან მოხმარების ზრდა ან შეზღუდვა, დასაქმების სტიმულირება, საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი ნაწილის დახმარება და სხვა. სახელმწიფო პოლიტიკის ინსტრუმენტის სახით საგადასახადო შეღავათების გამოყენება გულისხმობს საბიუჯეტო შემოსავლების შემცირებას, რასაც **საგადასახადო დანახარჯი** ეწოდება. ის შესაძლოა განვიხილოთ, როგორც მიუღებელი შემოსავალი, რაც გამომდინარეობს გარკვეული სტიმულებიდან, საგადასახადო შეღავათებიდან და გათავისუფლებიდან, განსხვავებული დაბეგვრის რეჟიმებიდან და ა.შ. საგადასახადო დანახარჯი არის მთავრობის პოლიტიკის შედეგი, რომელიც შესაძლოა მიზნად ისახავდეს ბიზნესის მხარდაჭერასა თუ სოციალური შედეგის მიღებას. ეს არის მოსახლეობის დანახარჯი იმ ბუნეფიცირების სასარგებლოდ, ვისზეც ვრცელდება საგადასახადო შეღავათები, ვინაიდან იგი იწვევს ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების შემცირებას.

საგადასახადო დანახარჯების ზოგადი განმარტება მათ დასახასიათებლად საკმარისი არ არის. საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, შესაძლოა გამოვყოთ რამდენიმე კრიტერიუმი, რომელიც საგადასახადო დანახარჯების იდენტიფიცირებას გაამარტივებს.¹ განვითარებულ ქვეყნებში 5 ასეთი კრიტერიუმი გამოიყენება. შეღავათი მიიჩნევა საგადასახადო დანახარჯად, თუ მას ჰქონდა: 1. არა-ფისკალური მიზანი 2. პირდაპირ სახელმწიფო ხარჯში კონვერტირების შესაძლებლობა 3. გადასახადის გადამხდელთა შეზღუდულ ჯგუფზე გავრცელების არეალი 4. საგადასახადო შემოსავლების შემცირების შესაძლებლობა და 5. წარმოადგენდა საბაზისო საგადასახადო სისტემიდან (Benchmark Tax System) ერთგვარ გადახრას. განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა იყენებს მხოლოდ მეოთხე და მეხუთე კრიტერიუმებს².

საგადასახადო დანახარჯების ანალიზი მნიშვნელოვანი ნაბიჯია საგადასახადო შეღავათების ეკონომიკური და სოციალური გავლენის შესასწავლად. ის ასევე გვეხმარება გავარკვიოთ, თუ რამდენად შესაბამისი და მნიშვნელოვანია ეს შეღავათები მოცემული მაკროეკონომიკური ან სოციალურ-ეკონომიკური მიზნების მისაღწევად. საგადასახადო დანახარჯების რაოდენობრივი შეფასებისთვის, მოცემულ ანგარიშში გამოყენებულია „შემოსავლის დანაკარგის“ მეთოდი. ის გულისხმობს იმ დაშვებას, რომ არც გადასახადის გადამხდელთა ქცევა და არც საგადასახადო ადმინისტრირება არ შეიცვლება საგადასახადო დანახარჯის გაუქმების შემთხვევაში. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გადასახადის სტანდარტის, ან „ბენჩმარკის“ სისტემის განსაზღვრა. ის შეღავათები, რაც წარმოადგენს ბენჩმარკიდან გადახრას, შესაძლოა საგადასახადო დანახარჯების გამომწვევ შეღავათებად იყოს მიჩნეული. ძირითადად, საგადასახადო დანახარჯები დაკავშირებულია დაბალ საგადასახადო

¹ იხ. USAID (2021).

² იხ. OECD (2010).

შემოსავლებთან. ამიტომაც, ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვისთვის საგადასახადო დანახარჯების ბიუჯეტზე გავლენის რაოდენობრივი შეფასება მნიშვნელოვანი (და საჭირო) ამოცანაა.

ბენჩმარკული საგადასახადო სისტემა არის ისეთი სისტემა, რომელთან მიმართებაშიც გამოითვლება საგადასახადო დანახარჯი. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყნებში ბენჩმარკული საგადასახადო სისტემის განსაზღვრის სხვადასხვა მიდგომა³ არსებობს, ლეგალური (რომლის მიხედვითაც, ქვეყნის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა არის საბაზისო/ბენჩმარკული სისტემის განსაზღვრის საფუძველი) მიდგომის ჩათვლით. საქართველოში ბენჩმარკული საგადასახადო სისტემის განსაზღვრა ზემოთ აღნიშნულ მიდგომას ეფუძნება და საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მოდულებსა და პრინციპებს იყენებს. ამგვარად, საგადასახადო დანახარჯი არის ის შეღავათი, რომელიც განსხვავდება საგადასახადო კოდექსის შესაბამისი დებულებებისგან.

საგადასახადო დანახარჯები შესაძლოა განისაზღვროს, როგორც არასტრუქტურული, სტრუქტურული, ტექნიკური და კვაზი-სტრუქტურული საგადასახადო დანახარჯები.⁴ წინამდებარე ანგარიში მოიცავს არასტრუქტურულ საგადასახადო დანახარჯებს.⁵ ეს დოკუმენტი წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს მეორე სამუშაოს⁶ საგადასახადო დანახარჯების რაოდენობრივ შეფასებასთან დაკავშირებით. სწორედ ამიტომ, ყურადღება გამახვილებულია მნიშვნელოვანი საგადასახადო დანახარჯების შეფასებაზე. საგადასახადო დანახარჯების რაოდენობრივი შეფასება მიზნად ისახავს დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ), მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების შეფასებული საგადასახადო დანახარჯების შესწავლას, მათ ძირითად ტენდენციებსა და კონტრიბუტორებზე დაკვირვებას 2018 წლიდან დღემდე.

ანგარიში იმეორებს და აფართოებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის (Swistak et al. (2022)) მიერ შესრულებულ სამუშაოს, სადაც ითვალისწინებს Gendron and Mylonas (2022)-ის ფარგლებში მიღებულ რეკომენდაციებს. ამასთან, განავრცობს როგორც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ ჩატარებულ მოგებისა და საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო დანახარჯების რაოდენობრივ შეფასებას (საგადასახადო დანახარჯების ანალიზი, USAID 2021), ასევე - საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მიერ 2020 წელს შესრულებულ დღგ-ს დანახარჯების რაოდენობრივ შეფასებას (VAT expenditure policy, Swistak et al., 2020). ანგარიშში გამოყენებულია უახლესი მონაცემები და შესაბამისად, შეფასებები განახლებულია 2021 წლისთვის. ანგარიში მოიცავს რამდენიმე მეთოდოლოგიურ განახლებას/გაუმჯობესებას, როგორცაა მოგებისა და საშემოსავლო გადასახადის, ასევე - დღგ-

³ იხ. თავი IV და IMF (2018).

⁴ იხ. Swistak et al. (2020).

⁵ სხვადასხვა სახის საგადასახადო დანახარჯების განსახილველად, იხ. დანართი 1.

⁶ ფინანსთა სამინისტროს მიერ შესრულებული საგადასახადო დანახარჯების პირველი ანალიზი დაიწერა და დანართის სახით დაერთო 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს. იხ: www.mof.ge/5355

ს საგადასახადო დანახარჯების შერჩეულ რაოდენობრივ პარამეტრებზე და დაშვებებზე სენსიტიურობის ანალიზის ჩატარება (დანართი 5 და დანართი 6).

არსებობს გარკვეული შეზღუდვები, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს დანახარჯების რაოდენობრივი შეფასების შედეგების სიზუსტეს. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ეკონომიკური მონაცემებიდან გამომდინარე შეზღუდვა, რაც დღგ-ს დანახარჯების რაოდენობრივი შეფასების სიზუსტეს უშლის ხელს. ეს მოიცავს რესურსების და გამოყენების ცხრილების (SUT) მცირე დეტალიზაციას, შეზღუდულ მონაცემებს არაფორმალურ სექტორთან დაკავშირებით და არაკლასიფიცირებულ მონაცემებს ეკონომიკური საქმიანობის კლასიფიკატორის (NACE) 2-ნიშნა კოდებთან მიმართებაში.⁷ ამასთან, შემდეგი ანგარიშებისთვის იგეგმება სხვა არაკლასიფიცირებული სექტორების იდენტიფიცირება (რომლებიც ამჟამად დღგ-ს დანახარჯების სხვა მუხლში აღირიცხება), რამაც შესაძლოა მიმდინარე ანგარიშში იდენტიფიცირებული სექტორების ზრდის მიმართულებით გადახედვა გამოიწვიოს. რაც შეეხება მოგებისა და საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო დანახარჯების რაოდენობრივ შეფასებას, სირთულეები მოიცავს საგადასახადო დეკლარაციების არარსებობას/არასწორ შევსებას და სექტორული მომგებიანობის არასაკმარისად დეტალური მონაცემების არსებობას.

საგადასახადო დანახარჯების რაოდენობრივი შეფასება მოიცავს 2018-2021 წლებს (როგორც მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების, ასევე - დღგ-ს საგადასახადო დანახარჯებისთვის). მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების საგადასახადო დანახარჯების რაოდენობრივი შეფასება მოიცავს: ძველი მოგების გადასახადის (CIT), განაწილებული მოგების გადასახადის (DPT), საშემოსავლო გადასახადის (PIT) და სხვა მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების საგადასახადო დანახარჯების შეფასებებს. ძირითადი შედეგები საგადასახადო დანახარჯების შეფასებისას შემდეგია:

- მთლიანი შეფასებული საგადასახადო დანახარჯები 2021 წელს შეადგენს 2,759 მლნ ლარს (მშპ-ს 4.6 პროცენტი), რაც 2020 წლის (მშპ-ს 5.2 პროცენტი) და 2019 წლის (მშპ-ს 5.7 პროცენტი) მაჩვენებლებზე ნაკლებია;
- დღგ-ს საგადასახადო დანახარჯები მთლიანი შეფასებული საგადასახადო დანახარჯების ძირითად ნაწილს შეადგენს (მთლიანი საგადასახადო დანახარჯების დაახლოებით 90 პროცენტი);
- დღგ-ს საგადასახადო დანახარჯები მშპ-ს 4.5 პროცენტიდან (2018) 5.2 პროცენტამდე (2019) გაიზარდა, 2020 წელს შემცირდა მშპ-ს 4.7 პროცენტამდე, ხოლო 2021 წელს კვლავ შემცირება განაგრძო და მშპ-ს 4.1 პროცენტი შეადგინა;
- მთლიანმა შეფასებულმა მოგებისა და საშემოსავლო საგადასახადო დანახარჯებმა 2021 წელს მშპ-ს 0.5 პროცენტი შეადგინა (რაც 2018 წელს მშპ-ს 0.9 პროცენტი იყო, ძირითადად ძველი მოგების გადასახადის (Old CIT) გამო);
- შეფასებული ძველი მოგების გადასახადის (Old CIT) საგადასახადო დანახარჯები 2018 წლის (მშპ-ს 0.4 პროცენტი) შემდეგ შემცირდა და 2021 წელს მშპ-ს 0.03 პროცენტი შეადგინა, ძირითადად რეჟიმის ეტაპობრივი გაუქმების გამო;

⁷ იხ. Swistak et al. (2022), გვ. 28.

- მთლიანი შეფასებული საშემოსავლო გადასახადის (PIT) საგადასახადო დანახარჯები მშპ-ს 0.42 პროცენტიდან (2018) 0.37 პროცენტამდე (2021) შემცირდა;
- მოცემულ ანგარიშში საპროცენტო საშემოსავლო საგადასახადო დანახარჯი ოთხი სხვადასხვა მიდგომით არის გამოთვლილი, მიღებული შეფასებები კი მშპ-ს 0.05 პროცენტიდან 0.07 პროცენტამდე მერყეობს;
- სხვა მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების საგადასახადო დანახარჯები მოიცავს მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირებს 1 პროცენტის და 3 პროცენტის განაკვეთებით დაბეგრის შემთხვევაში. აღნიშნულისთვის ანგარიშში საგადასახადო დანახარჯები შეფასებულია სხვადასხვა მოგების მარჟის დაშვებით⁸;
- დოკუმენტში მიღებული ზოგიერთი შედეგი განსხვავდება IMF-ისა და USAID-ის წინა შეფასებებისგან, განახლებული მონაცემების და/ან მეთოდოლოგიის გამო.

ანგარიშის სტრუქტურა შემდეგია: შემდეგ თავში (თავი II) აღწერილია ბენჩმარკული საგადასახადო სისტემა მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების და დღგ-ს საგადასახადო დანახარჯებისთვის. თავი III შედგება მოგებისა და საშემოსავლო გადასახადის და დღგ-ს საგადასახადო დანახარჯების ნუსხისგან. თავი IV გვიჩვენებს საქართველოს საგადასახადო დანახარჯების შეფასებას 2018-2021 წლებში, რაც დაყოფილია მოგების, საშემოსავლო და დღგ-ს საგადასახადო დანახარჯებად. ბოლო თავი (თავი V) წარმოადგენს შეჯამებას. დანართი 1 განაწილებს სხვადასხვა საგადასახადო დანახარჯების კლასიფიკაციის განმარტებას. დანართი 2 წარმოადგენს საგადასახადო დანახარჯების დეტალურ აღწერას. დანართ 3 და 4-ში მოცემულია როგორც მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების საგადასახადო დანახარჯების, ასევე - დღგ-ს საგადასახადო დანახარჯების დეტალური აღწერა. საბოლოოდ, დანართი 5 და 6 მოიცავს მონაცემებისა და მეთოდების შესახებ ინფორმაციას და განიხილავს სხვადასხვა საგადასახადო დანახარჯისათვის ჩატარებულ სენსიტიურობის ანალიზს.

თავი II. საბაზისო (ბენჩმარკული) საგადასახადო სისტემა

ბენჩმარკული საგადასახადო სისტემა გამომდინარეობს საბაზისო (საორიენტაციო) საგადასახადო სისტემის იდეიდან, რომლის მიხედვითაც დგინდება საგადასახადო დანახარჯების (TE) არსებობა (Heady and Mansour, 2019). ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრ სახელმწიფოებში ბენჩმარკული (საბაზისო) საგადასახადო სისტემის დასადგენად გამოიყენება სამი მიდგომა⁹, კერძოდ:

კონცეპტუალური მიდგომა საბაზისო საგადასახადო სისტემას უკავშირებს ერთგვარი „ნორმატიული“ საგადასახადო სტრუქტურის ცნებას. მიდგომა ეფუძნება „ოპტიმალური საგადასახადო სისტემის“ „ნორმად“ აღიარების თეზას, მაკროეკონომიკური (შემოსავალი, მოხმარება) და საგადასახადო სისტემის (მაგალითად, დღგ) ცვლადების თეორიულ გაგებაზე დაყრდნობით. ამ მიდგომის პირობებში, „ნორმატიული საგადასახადო სისტემა“, მონაცემთა

⁸ დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ დანართი 5.

⁹ იხ. IMF (2018).

სიმწირისა და წმინდა თეორიული კონცეფციების გამოყენებასთან დაკავშირებული ტექნიკური პრობლემების გამო, ხშირად საჭიროებს ცვლილებებს.

ლეგალური (პოზიტიური/რეგულატორული) მიდგომა საბაზისო საგადასახადო სისტემას უკავშირებს მოქმედ კანონმდებლობას. ამ მიდგომის გამოყენებისას, საბაზისო სისტემის განსაზღვრის საფუძველი არის ქვეყნის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა. შესაბამისად, საგადასახადო დანახარჯების წყაროს წარმოადგენს არსებული საგადასახადო კანონმდებლობის მოქმედ ზოგად რეჟიმთან შედარებით დიფერენციული ან პრეფერენციული მიდგომები.

დანახარჯი-სუბსიდიის მიდგომა საგადასახადო დანახარჯად აფასებს მხოლოდ იმ საგადასახადო შეღავათებს (ან დიფერენცირებულ/პრეფერენციულ მიდგომებს), რომლებიც დანახარჯი-სუბსიდიების ანალოგიური არიან.

ისევე როგორც მრავალი სხვა ქვეყანა, საქართველოც საბაზისო საგადასახადო სისტემის განსაზღვრის ლეგალურ მიდგომას იყენებს. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მკვლევარი, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, რეკომენდაციას უწევს სწორედ ლეგალური მიდგომის გამოყენებას, რომლის თანახმად ყურადღება გამახვილებულია შემოსავლის პრაქტიკულ (საგადასახადო კანონმდებლობაში მოცემულ) და არა თეორიულ გაგებაზე. ნებისმიერ შემთხვევაში, ბენჩმარკული საგადასახადო სისტემა უნდა შემოიფარგლოს ძირითადი გადასახადების (headline taxes) საბაზისო (ძირითადი) მახასიათებლებით. კერძოდ, საბაზისო საგადასახადო სისტემა უნდა მოიცავდეს საშემოსავლო და მოგების გადასახადებს, მარტივ გადასახადს მოხმარებაზე (მაგალითად, სტანდარტული, უნიფიცირებული დღგ), აქციზურ გადასახადებს, ტარიფებს და სხვა მცირე გადასახადებს.

ქვემოთ წარმოდგენილ ორ ქვეთავში აღწერილია საშემოსავლო და მოგების გადასახადებისა და დღგ-ს სისტემების მახასიათებლები, რომლებიც მიჩნეულია საბაზისო/ბენჩმარკული საგადასახადო სისტემის ნაწილად ამ ანგარიშით გათვალისწინებული საგადასახადო დანახარჯების იდენტიფიცირებისთვის. საბაზისო საგადასახადო სისტემის ელემენტებს განეკუთვნება საბაზისო დასაბეგრი ერთეული (გადასახადის გადამხდელი), დასაბეგრი პერიოდი, დასაბეგრი ბაზა და გადასახადის განაკვეთი (სტრუქტურა).

II.a საბაზისო საგადასახადო სისტემა პირდაპირი გადასახადებისთვის

საქართველოს საშემოსავლო გადასახადი განეკუთვნება არაპროგრესული გადასახადის აღმოსავლეთ ევროპაში გავრცელებულ მოდელს. ფიზიკური პირების დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება საერთო განაკვეთით. მოგების გადასახადის მიმართ საქართველო განსხვავებულ რეჟიმს იყენებს. მოგების გადასახადით იბეგრება მხოლოდ განაწილებული ან საგადასახადო კოდექსის თანახმად განაწილებულად „მიჩნეული“ მოგება. 2023 წლის პირველ იანვრამდე, მოგების გადასახადის აღნიშნული რეჟიმი (განაწილებული მოგების გადასახადის რეჟიმი - DPT) არ ვრცელდება კომერციულ ბანკებზე, საკრედიტო კავშირებზე, სადაზღვევო ორგანიზაციებზე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე, სესხის გამცემ სუბიექტებსა და ნავთობისა და გაზის

კომპანიებზე, რომელთა მიმართ კვლავინდებურად მოქმედებს კორპორაციული საშემოსავლო გადასახადი მიღებულ მოგებაზე (მოგების გადასახადით დაბეგვრის ძველი ე.წ. „კლასიკური მოდელი“). მოგების გადასახადის განაკვეთი არის საერთო, არადიფერენცირებადი საგადასახადო განაკვეთი. საშემოსავლო და მოგების გადასახადების რეჟიმების ეს მოკლე აღწერაც ცხადყოფს, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის ზოგადი პრინციპი არის არადისკრიმინაციულობა; გამოიყენება მეტწილად ერთიანი მიდგომა უნიფიცირებული საგადასახადო განაკვეთებით.

საგადასახადო დანახარჯების შეფასებისა და საბაზისო საგადასახადო სისტემის ფორმირების პრინციპები და მეთოდები, აგრეთვე ამ პროცესების საშუალებით მიღებული გამოცდილება და საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა გვაძლევს საშუალებას, რომ ჩამოვყალიბოთ საშემოსავლო და მოგების გადასახადების საგადასახადო დანახარჯების შეფასების შემდეგი სისტემა:

- საბაზისო საგადასახადო სისტემად ჩაითვალოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის საგადასახადო განაკვეთები, რომლებიც კორექტირებულია შესაბამისი ორმხრივი და საერთაშორისო შეთანხმებებით. რაც შეეხება მოგების გადასახადს, 2023 წლის პირველ იანვრამდე, ორივე რეჟიმი ჩაითვალოს საბაზისო საგადასახადო სისტემის სტრუქტურულ ნაწილებად.
- ნებისმიერი (სხვა)¹⁰ გადახრა საბაზისო სისტემიდან, თუ იგი ამცირებს საგადასახადო შემოსავალს, მიჩნეულ იქნეს საგადასახადო დანახარჯად.
- საგადასახადო დანახარჯების რაოდენობრივი შეფასება განხორციელდეს „შემოსავლების დანაკარგის“¹¹ (revenue forgone) მიდგომის გამოყენებით.
- საგადასახადო დანახარჯების ანგარიში ყოველწლიურად უნდა მომზადდეს.

ამ სისტემის გამოყენების შედეგად, საბაზისო საგადასახადო სისტემიდან გადახრების უმეტესობა ხვდება საგადასახადო დანახარჯების კატეგორიაში და მათი რაოდენობის განსაზღვრის შემთხვევაში, ხელს უწყობს ფისკალურ გამჭვირვალობას. მეტიც, საგადასახადო დანახარჯების ყოველწლიური შეფასება, სულ უფრო ხშირად წარმოშობს კითხვას ამ საგადასახადო დანახარჯების საჭიროებისა და მიზანშეწონილობის შეფასების თაობაზე, რითაც იგი ემსახურება სახელმწიფო რესურსების ეფექტიანი და სამართლიანი განაწილების გლობალურ მიზანს.

ანგარიშში აღწერილ საშემოსავლო და მოგების გადასახადის საბაზისო სისტემას (ბენჩმარკს) გააჩნია შემდეგი მახასიათებლები:

¹⁰ ამ ჩამონათვალის პირველ აბზაცში მოცემულისგან განსხვავებული.

¹¹ „შემოსავლების დანაკარგის“ მეთოდით გამოიანგარიშება განსახილველ საგადასახადო დებულებასთან ასოცირებული შემოსავლის პირდაპირი დანაკარგი, საბაზისო საგადასახადო სისტემასთან მიმართებაში. საბაზისო სისტემა არ შეიცავს საგადასახადო დანახარჯის ასეთ დებულებას და ამიტომ იგი ასრულებს ეტალონური (საორიენტაციო) სისტემის ფუნქციას შეფასების განხორციელებისას. შეფასებები ეფუძნება უამრავ მნიშვნელოვან ვარაუდს. პირველი, - ერთდროულად ხორციელდება საგადასახადო დანახარჯების მხოლოდ ერთი ღონისძიების შეფასება, სხვა პირობები თანაბარია. მეორე, - საგადასახადო დანახარჯის გაუქმების შედეგად არ იცვლება გადამხდელის ქცევა. ამიტომაც, მეთოდოლოგია უგულვებელყოფს დინამიურ საგადასახადო ეფექტებს (იხილეთ IV თავი, აგრეთვე დანართები 5 და 6).

დასაბეგრი ერთეული

საშემოსავლო გადასახადისთვის დასაბეგრი საბაზისო ერთეული არის რეზიდენტი ფიზიკური პირი, აგრეთვე არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან, ხოლო მოგების გადასახადისთვის დასაბეგრი საბაზისო ერთეული არის რეზიდენტი საწარმო, აგრეთვე არარეზიდენტი საწარმო, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას საქართველოში არსებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ან/და იღებს შემოსავალს საქართველოში არსებული წყაროდან.

დასაბეგრი პერიოდი

- საბაზისო სისტემის მიხედვით საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი პერიოდი არის კალენდარული წელიწადი.
- განაწილებული მოგების გადასახადისთვის, რეზიდენტი საწარმოებისა და არარეზიდენტი საწარმოების მუდმივი დაწესებულებების შემთხვევაში, საბაზისო დასაბეგრი პერიოდი არის კალენდარული თვე. საბაზისო დასაბეგრი პერიოდი იმ სუბიექტებისთვის, რომლებიც კვლავინდებურად მოგების გადასახადის კლასიკური მოდელის მიხედვით იბეგრება, არის კალენდარული წელიწადი (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 135-ე მუხლი).

დასაბეგრი ბაზა

- **საშემოსავლო გადასახდის (PIT) საბაზისო დასაბეგრი ბაზა:** დაქირავებით მუშაობიდან მიღებული შემოსავალი გამოიანგარიშება, შემოსავლიდან, რომელიც მიღებულია ხელფასის სახით, ასეთი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოქვითვის გარეშე; მეწარმე ფიზიკური პირებისთვის, დასაბეგრი ბაზა არის სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავლებსა და ამ პერიოდისთვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის.
- **განაწილებული მოგების გადასახადის (DPT) საბაზისო დასაბეგრი ბაზა:** რეზიდენტი საწარმოს და არარეზიდენტი საწარმოს საქართველოში არსებული მუდმივი დაწესებულების მიერ საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული შემოსავლის ნებისმიერი განაწილება ან საქართველოს საგადასახადო კოდექსით მოგების განაწილებად „მიჩნეული“ ქმდება, ამასთან, რეინვესტირებული ან გაუნაწილებელი მოგება აქ (საქართველოში) ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლი). მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა გამოითვლება დაბეგვრის ობიექტების მიხედვით განხორციელებული განაცემის/გაწეული ხარჯის ოდენობის 0.85-ზე გაყოფის შედეგად.
- **მოგების გადასახადის კლასიკური მოდელის (Old CIT) საბაზისო დასაბეგრი ბაზა:** კომერციული ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო ორგანიზაციების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, სესხის გამცემი სუბიექტებისა და ნავთობისა და გაზის კომპანიებისთვის, მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ კოდექსით გათვალისწინებულ გამოქვითვების თანხებს შორის (გარდამავალი რეჟიმი 2023 წლის 1 იანვრამდე). ამასთან, „კლასიკური“ მოგების გადასახადით დაბეგვრას ექვემდებარება არარეზიდენტი საწარმოს მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ქონების

რეალიზაციით მიღებული შემოსავალი, თუ იგი დაკავშირებული არ არის საქართველოში მისი მულტივი დაწესებულების საქმიანობასთან.

გადასახადის განაკვეთები

- საშემოსავლო გადასახადის შემთხვევაში, დაქირავებით მუშაობიდან, კაპიტალის მატებიდან, გაქირავებიდან მიღებული შემოსავლებისა და როიალტის სახით მიღებული შემოსავლებისთვის მოქმედი გადასახადის საბაზისო განაკვეთი არის 20 პროცენტის განაკვეთი, ყოველგვარი შეღავათისა (allowance) თუ სტანდარტული გამოქვითვის გარეშე, ხოლო ფიზიკური პირისთვის გადახდილი დივიდენდი და პროცენტი იბეგრება გადახდის წყაროსთან გადასახდელი თანხის 5 პროცენტის სტანდარტული განაკვეთით. საგადასახადო წლის განმავლობაში I და II რიგის მემკვიდრეების მიერ ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულება გათავისუფლებულია. საშემოსავლო გადასახადისგან ასევე გათავისუფლებულია რეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავალი, რომელიც არ განეკუთვნება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს.
- განაწილებული მოგების გადასახადის შემთხვევაში მოგების გადასახადის საბაზისო განაკვეთი შეადგენს 15 პროცენტს დივიდენდის გადამხდელი პირის დონეზე და 5 პროცენტს აქციონერის/მოწილის დონეზე.
- მოგების გადასახადის კლასიკური მოდელის შემთხვევაში, მოგების გადასახადის საბაზისო განაკვეთი შეადგენს 15 პროცენტს დივიდენდის გადამხდელი პირის დონეზე და 5 პროცენტს აქციონერის/მოწილის დონეზე.

ორმაგი დაბეგრის თავიდან აცილება

- წესები, რომლებიც შემუშავებულია ორმაგი დაბეგრის თავიდან აცილების მიზნით, მიიჩნევა საბაზისო საგადასახადო სისტემის ნაწილად.

სახელმწიფო ხელისუფლების, ეროვნული მარეგულირებელი და მუნიციპალიტეტის ორგანოების დაბეგვრა¹²

- სახელმწიფო ხელისუფლების, ეროვნული მარეგულირებელი და მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობა, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული მათთვის საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული ფუნქციების შესრულებასთან, გარდა ხელშეკრულების საფუძველზე ფასიანი მომსახურების გაწევისა, არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას. შესაბამისად, ასეთი საქმიანობა, გარდა ხელშეკრულების საფუძველზე ფასიანი მომსახურების გაწევისა, არ იბეგრება მოგების გადასახადით.

საშემოსავლო და მოგების გადასახადის საგადასახადო დანახარჯების საბაზისო სისტემაში შემავალი შეღავათები

¹² საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

საგადასახადო კოდექსი საშემოსავლო და მოგების გადასახადის ნაწილში შეიცავს 11 საგადასახადო დანახარჯს, რომელიც განეკუთვნება საბაზისო სისტემას. მაგალითად, რეზიდენტების მიერ საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული შემოსავალი (ელემენტი 4), აგრეთვე საჩუქრები და მემკვიდრეობით მიღებული ქონება. გრანტები, სახელმწიფო პენსიები, სახელმწიფო კომპენსაცია, სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია და სხვა შეღავათები ასევე იქნა შეყვანილი საბაზისო სისტემაში, ვინაიდან შეუძლებელია ერთმანეთისგან განვასხვავოთ დაგროვებადი და დაბრუნებადი ხასიათის არასახელმწიფო საპენსიო სქემებიდან მიღებული პენსიები განხორციელებული შენატანების ოდენობით (საბაზისო სისტემის ნაწილი) და სხვა ელემენტები (შეღავათები), რომლებიც იდეალურ შემთხვევაში უნდა მიეკუთვნოს საგადასახადო დანახარჯებს.¹³ რეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ უცხოური წყაროდან მიღებული შემოსავლის მიმართ მოქმედი რეჟიმი მიჩნეულია საბაზისო საგადასახადო სისტემის ნაწილად, ვინაიდან 2009 წელს საქართველომ დაწერა ტერიტორიული დაბეგვრის პრინციპი საშემოსავლო გადასახადის მიმართ, რითაც საქართველოს საგადასახადო რეზიდენტების საგადასახადო ვალდებულებები შემოიფარგლა საქართველოში არსებული წყაროებიდან მიღებული შემოსავლებით. რაც შეეხება 1000 ლარამდე ღირებულების საჩუქრებს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით ეს დებულება არ ატარებს კომერციულ ხასიათს, ვინაიდან მემკვიდრეობით ქონების მიღება განხილულია ოჯახის შიგნით აქტივების გადატანად და შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ასეთი გარიგების შედეგად მესაკუთრე არ იცვლება. გარდა ამისა, ასეთ ტრანზაქციას არ გააჩნია კომერციული მიზანი. შემოსავალზე საგადასახადო დანახარჯების საბაზისო სისტემაში შემავალი ელემენტების დეტალური ჩამონათვალი იხილეთ დანართ 2-ში (საიდენტიფიკაციო ნომერი 4, 24.1, 24.2 და 34.1).

II.b საბაზისო საგადასახადო სისტემა დამატებული ღირებულების გადასახადისთვის (დღგ)

საბაზისო საგადასახადო სისტემა დამატებული ღირებულების გადასახადისათვის არის ვრცელი დასაბეგრი ბაზა, რომლის მიხედვითაც საბოლოო მოხმარება, როგორც კერძო, ასევე - საჯარო პირების მიერ, იბეგრება მხოლოდ ერთი, ძირითადი განაკვეთით. საბაზისო სისტემა მოიცავს ყველა საქონელსა და მომსახურებას, რისი მოხმარებაც ხდება საქართველოში. მეორე მხრივ, საბაზისო სისტემაში არ გაითვალისწინება გარკვეული ჯგუფებისათვის (მათ შორის მთავრობის ან ბიზნესებისათვის) საგადასახადო კანონმდებლობით მინიჭებული შეღავათები.

დღგ-ს საბაზისო საგადასახადო სისტემა მიჰყვება ევროპული დღგ-ს ძირითად პრინციპებს იმდენად, რამდენადაც ევროკავშირის დღგ-ს ღირექტივების ასახვა განხორციელდა ქართულ საგადასახადო კანონმდებლობაში. კერძოდ, ასოცირების შეთანხმების 22-ე დანართის თანახმად, საქართველო იღებს ვალდებულებას საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზირება მოახდინოს ევროპის საბჭოს 2006 წლის 28 ნოემბრის 2006/112/EC ღირექტივასთან¹⁴ დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ) საერთო სისტემის შესახებ

¹³ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

¹⁴ იხ. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32006L0112>

გარკვეული გამონაკლისებით. ამასთან, საქართველო იტოვებს უფლებას, დღგ-სგან გაათავისუფლოს საქონლისა და მომსახურების მიწოდება, რომელიც შეთანხმების ძალაში შესვლის მომენტისთვის თავისუფლდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის საფუძველზე. აღნიშნული ცვლილებები განხორციელდა საქართველოს საგადასახადო კოდექსში და 2021 წლიდან ძალაში შევიდა დღგ-ს ახალი კარი. ცვლილებები განხორციელდა შესაბამის მეორად კანონმდებლობაშიც.

დაბეგვრის ერთეული

დღგ-ს იხდის საბოლოო მომხმარებელი (შინამეურნეობები) ამ გადასახადით გაზრდილი ფასით საქონლის ან/და მომსახურების შეძენისას (იმპორტისას).

დაბეგვრის დრო

არ არსებობს საბაზისო (benchmark) დაბეგვრის პერიოდი (დაბეგვრის დრო დღგ-ს საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრის მიზნით). დღგ-ს გადახდა ხორციელდება, როდესაც ხორციელდება დასაბეგრი საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან დასაბეგრი იმპორტი. ასეთ ოპერაციებზე დღგ-ს გადახდა ხდება საანგარიშო პერიოდის შესაბამისად. დღგ-ს საანგარიშო პერიოდია კალენდარული თვე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 163-ე მუხლის თანახმად, თუ თანხა სრულად ან ნაწილობრივ ანაზღაურებულია საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების გაწევამდე, ანაზღაურებული თანხის შესაბამისი დღგ-ს გადახდა ხორციელდება ანაზღაურების თანხის გადახდის საანგარიშო პერიოდის მიხედვით. ასევე, საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს განსხვავებულ წესებს დაბეგვრის დროსთან მიმართებაში, მათ შორის, ტელესაკომუნიკაციო/კავშირგაბმულობის მომსახურების გაწევის შემთხვევაში, ან როდესაც ამ საქონლის (გარანტირებული სიმძლავრის, ელექტროენერჯის, გაზის, წყლის, თბოენერჯის, გაგრილების ენერჯის ან სხვა მსგავსი საქონლის) მიწოდება ხორციელდება რეგულარულად ან უწყვეტად. ასეთ შემთხვევაში დღგ-ით დაბეგვრა ხორციელდება არაუგვიანეს ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლო დღისა.

რაც შეეხება დაბეგვრის დროს იმპორტისას, საქონლის იმპორტის დღგ-ით დაბეგვრა ხორციელდება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად საბაჟო ვალდებულების წარმოშობის მომენტში. ხოლო, თუ საქონელი არ იბეგრება იმპორტის გადასახადით ან გაათავისუფლებულია იმპორტის გადასახადისგან, მაშინ იბეგრება იმ მომენტში, როდესაც ეს საქონელი დაიბეგრებოდა, ამ გადასახადისგან გაათავისუფლებული რომ არ ყოფილიყო.

დასაბეგრი ბაზა

საბაზისო (benchmark) დასაბეგრი ბაზა არის მოხმარება, ფართო კონტექსტში, და შედგება საქართველოში მოხმარებული საქონლისგან/მომსახურებებისგან. აღნიშნული ეფუძნება „მიმართულების პრინციპს“, რაც ნიშნავს იმას, რომ იბეგრება საქართველოში მოხმარება/გამოყენება და იმპორტი და არა ექსპორტი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 159-ე მუხლის თანახმად, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციებია დასაბეგრი პირის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში ანაზღაურების სანაცვლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა და საქონლის იმპორტი. საქონლის მიწოდება არის მატერიალური ქონების განკარგვაზე

მესაკუთრის უფლების გადაცემა. მომსახურების გაწევა არის ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ არის საქონლის მიწოდება. ხოლო საქონლის იმპორტი არის საქართველოს საბაჟო კოდექსის¹⁵ შესაბამისად საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში მოქცევა.

მრავალ-ეტაპიანი სისტემა

დღგ-ს საბაზისო სისტემა წარმოადგენს მრავალ-ეტაპიან სისტემას, რომლითაც იბეგრება საქონელი და მომსახურება წარმოებისა და რეალიზაციის ყველა ეტაპზე. თითოეულ ეტაპზე ბიზნესებს შეუძლიათ ჩაითვალოს დღგ ხარჯზე, ასე რომ დღგ მხოლოდ ერიცხება დამატებულ ღირებულებას. გამომდინარე იქედან, რომ გარკვეული ორგანიზაციები (საჯარო პირები, არასამთავრობო ორგანიზაციები) არ არიან უფლებამოსილი ჩაითვალოს დღგ ხარჯებზე, რომლებიც წარმოქმნილია საქონლის მიწოდების ან მომსახურების გაწევის მიზნით, ეს ფაქტი განიხილება დღგ-ს საბაზისო სისტემის (ბენჩმარკის) ნაწილად.

რაც შეეხება დღგ-ს ჩათვლის პრინციპს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 174-ე მუხლის თანახმად, დღგ-ს ჩათვლა არის დასაბეგრი პირის უფლება, შეიმციროს გადასახდელი დღგ-ს თანხა საქონლის მიწოდებასთან/მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯის სხვადასხვა კომპონენტის ღირებულებაზე პირდაპირ მიკუთვნებული დღგ-ს თანხით. დღგ-ს ჩათვლის უფლება აქვს მხოლოდ დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებულ დასაბეგრ პირს.

თუ საქონელი/მომსახურება გამიზნულია ან გამოიყენება დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელებისთვის, დასაბეგრ პირს უფლება აქვს ჩაითვალოს საქართველოს ტერიტორიაზე სხვა დასაბეგრი პირისგან ამ საქონლის/მომსახურების შეძენისთვის (ან ისეთ ოპერაციებზე, რაც ითვლება საქონლის მიწოდებად/მომსახურების გაწევად) გადახდილი/გადასახდელი დღგ, საქონლის იმპორტისას გადახდილი/გადასახდელი დღგ და უკუდაბეგრის წესით დაბეგრის შემთხვევაში დარიცხული დღგ.

დასაბეგრ პირს უფლება აქვს ჩაითვალოს საქონლის/მომსახურების შეძენისთვის გაწეულ ხარჯთან დაკავშირებული დღგ-ს თანხა, თუ საქონელი ან მომსახურება გამოიყენება საქართველოს ტერიტორიის გარეთ მომსახურების გაწევისთვის/ საქონლის მიწოდებისთვის ან თუ საქონელი/მომსახურება გამოიყენება დღგ-სგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულ ოპერაციებში; ან ფინანსური მომსახურებისთვის/ოპერაციისთვის, თუ მომხმარებელი საქართველოს ფარგლების გარეთაა დაფუძნებული ან თუ ეს ოპერაციები უშუალოდ არის დაკავშირებული საქონელთან, რომელიც საქართველოდან უნდა იქნეს ექსპორტირებული.

საგადასახადო განაკვეთი

დღგ-ს საბაზისო (ბენჩმარკ) განაკვეთი არის 18 პროცენტი - 2005 წლის პირველი იანვრიდან მოქმედი სტანდარტული განაკვეთი.

საჯარო პირების დაბეგვრა

¹⁵ საბაჟო კოდექსის 47-ე მუხლი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 158-ე მუხლის თანახმად, დღგ-ით დასაბეგრ პირად განიხილება ნებისმიერი პირი, რომელიც ნებისმიერ ადგილზე დამოუკიდებლად ახორციელებს ნებისმიერი სახის ეკონომიკურ საქმიანობას, მიუხედავად ამ საქმიანობის მიზნისა და შედეგისა. მიუხედავად ამისა, ეკონომიკურ საქმიანობად არ განიხილება სახელმწიფო ხელისუფლების/მუნიციპალიტეტის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობა, თუ ის საქმიანობის განხორციელებისას მოქმედებს, როგორც სახელმწიფო ორგანო (ახორციელებს სახელმწიფოს მიერ მისთვის დელეგირებულ უფლებამოსილებას), იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამ საქმიანობისთვის დადგენილია საწევრო, მოსაკრებელი, საფასური ან სხვა გადასახდელი, გარდა კანონით განსაზღვრული აქტივობებისა. შედეგად, საჯარო პირების საქმიანობა, თუ ის არ შედის კონკურენციაში კერძო სექტორთან, არ იბეგრება დღგ-ით. შესაბამისად, მათ არ შეუძლიათ დღგ-ს ჩათვლა ხარჯებზე (სახელმწიფო ორგანოების მიერ განხორციელებულ შესყიდვებში არის დღგ). იქიდან გამომდინარე, რომ დღგ-ს დაბეგრის არეალში არ ექვევა ასეთი საჯარო პირების საქმიანობა, აღნიშნული არ წარმოადგენს დღგ-ს საბაზისო სისტემის (ბენჩმარკის) ნაწილს.

დღგ-ს საბაზისო საგადასახადო სისტემის საკვანძო ელემენტები

საგადასახადო კანონმდებლობა მოიცავს 18 საბაზისო (ბენჩმარკ) ელემენტს. მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ოქროს მიწოდებას, ასევე მგზავრთა გადაყვანის მომსახურებას, რაც დაკავშირებულია საერთაშორისო ტრანსპორტირების მომსახურებასთან, ასევე საქონლის მიწოდებას ან/და მომსახურების გაწევას, რომელიც განკუთვნილია უცხოეთის დიპლომატიური ან მასთან გათანაბრებული წარმომადგენლობის ოფიციალური სარგებლობისთვის. სხვა საბაზისო ელემენტებია: სახელმწიფოსთვის ან/და მუნიციპალიტეტისთვის საქონლის უსასყიდლოდ გადაცემა ან/და მომსახურების უსასყიდლოდ გაწევა, ასევე, საწარმოს მიერ, რომლის წილის/აქციების 50 პროცენტზე მეტი სახელმწიფოს ან/და მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია, სახელმწიფოსთვის ან/და მუნიციპალიტეტისთვის აქტივების მიწოდება საწარმოს კაპიტალიდან გატანის გზით. იხილეთ მე-2 დანართი (საიდენტიფიკაციო N 3, 4, 11, 12, 13, 14, 17, და 18) დღგ-ს საბაზისო საგადასახადო სისტემის საკვანძო ელემენტების დეტალური ჩამონათვალისათვის.

II.c სხვა დანახარჯების კლასიფიკაცია

საბაზისო სისტემა არ წარმოადგენს საგადასახადო დანახარჯებს. რაც შეეხება დღგ-ს სტრუქტურულ დანახარჯებს, ასეთია ფინანსური მომსახურების გათავისუფლება დღგ-სგან, მცირე ბიზნესის გათავისუფლების ზღვარი (100,000 ლარი საქართველოს შემთხვევაში), ჩათვლის უფლებით გათავისუფლებული საქართველოში მობილურ ან ფიქსირებულ ქსელში საერთაშორისო ზარის დასრულების მომსახურება, გათავისუფლებული ოპერაციები თავისუფალი ინდუსტრიული ზონის (FIZ) შიგნით. საკამათოა, რამდენად შესაძლებელია დღგ-ს სისტემის ფუნქციონირება მცირე ბიზნესის გათავისუფლების გარეშე, რადგან სხვაგვარად გართულდებოდა საგადასახადო ადმინისტრირება. ასევე საკამათოა, რამდენად შესაძლებელია ფინანსური მომსახურებების სრული დაბეგრვა. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს ფინანსური (და მასთან დაკავშირებული) ოპერაციების ფართო გათავისუფლებას, რაც უფრო ფართოა, ვიდრე - ევროპული დღგ-ს კანონმდებლობა და ძალიან

შორს დგას ახალ ზეღანდიურ და სამხრეთ აფრიკულ მოდელებთან, რომლებიც ფინანსური მომსახურებების უფრო ფართო სპექტრს ბეგრავენ დღგ-თი. იხილეთ დანართი 1 არასტრუქტურული დანახარჯებისა და იმ დანახარჯების განხილვისთვის, რაც არ შედის საბაზისო სისტემაში.

თავი III. საგადასახადო დანახარჯების ნუსხა (კატალოგი)

ამ თავში წარმოდგენილი და განხილულია მოგებისა და საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო დანახარჯებისა (ITE) და დღგ-ს საგადასახადო დანახარჯების (VATE) ნუსხა (კატალოგები). მასში ასევე მოცემულია მითითება ამ საგადასახადო დანახარჯების ელემენტების დეტალური აღწერის შესახებ.

III.a მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების საგადასახადო დანახარჯები

შემოსავალზე გადასახადების ნაწილში საგადასახადო კოდექსი ჯამში (საშემოსავლო და მოგების გადასახადები) 55 ელემენტს შეიცავს, რომელთაგან 52 წარმოადგენს გადახრას საბაზისო საგადასახადო სისტემიდან და ამიტომაც მიჩნეულია შემოსავალზე გადასახადების ნაწილში არსებულ საგადასახადო დანახარჯად. ცხრილ 1-ში წარმოდგენილია მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების საგადასახადო დანახარჯების სია, აგრეთვე მათი აღწერა საგადასახადო კოდექსის მიხედვით, საგადასახადო კოდექსის შესაბამის მუხლებზე მითითება, პოლიტიკის მიერ მათი საგადასახადო დანახარჯად კლასიფიკაცია, ღონისძიების სახეობა (გათავისუფლება „EX“ ან შემცირებული განაკვეთი „RR“) და გადასახადის ტიპი (საშემოსავლო გადასახადი „IT“ ან მოგების გადასახადი „PT“). ცხრილ 1-ში წარმოდგენილი ყველა ელემენტი მიჩნეულია არასტრუქტურულ საგადასახადო დანახარჯად (საგადასახადო დანახარჯების არასტრუქტურულად მიჩნევის თაობაზე მიმოხილვა იხილეთ დანართი 1-ში).

ცხრილი 1-დან ჩანს ის პრიორიტეტები, რომლებითაც ხელმძღვანელობდა საქართველო საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებისას. ამ ცხრილის რიგი ელემენტებისა ეხება ფინანსურ ინსტრუმენტებსა და ოპერაციებს და მიზნად ისახავს ფინანსური ბაზრების სფეროში საქმიანობის განვითარების ხელშეწყობას. მოგების გადასახადების დანახარჯების სტრუქტურა ასახავს გათავისუფლებების კიდევ ერთ დიდ ჯგუფს, რომლებიც მოქმედებს სპეციალური ზონების (კერძოდ: თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, სპეციალური სავაჭრო კომპანია, ვირტუალური ზონის იურიდიული პირი, სპეციალური საწარმო, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, მატალმთიანი დასახლება, საერთაშორისო კომპანია) მიმართ და მათი მიზანია ამ სფეროების განვითარების, აგრეთვე საქართველოში ეკონომიკის სექტორების განვითარებისა და სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა. საშემოსავლო გადასახადის სფეროში დანახარჯებთან დაკავშირებით, საგადასახადო კოდექსი შეიცავს გათავისუფლებებს, რომლებიც ემსახურება სოციალურ, ჰუმანიტარულ, საქველმოქმედო და ჯანდაცვის მიზნებს, აგრეთვე სოფლის მეურნეობის, ტურიზმისა და სპორტის ხელშეწყობას.

საშემოსავლო გადასახადის ნაწილში საგადასახადო დანახარჯების აღწერა მოცემულია ამ ანგარიშის დანართ 3-ში. აღწერილობები ორგანიზებული და დალაგებულია საიდენტიფიკაციო ნომრების გამოყენებით, რომლებიც ასევე გვხვდება ცხრილ 1-ის პირველ სვეტში. წარმოდგენილი ინფორმაცია შედგება შემდეგი ელემენტებისგან: საიდენტიფიკაციო ნომერი, საგადასახადო კოდექსიდან აღებული აღწერილობა, დანერგვის წელი, მიზანი და შედავითით მოსარგებლე პირი ან პირები (ბენეფიციარები).

ცხრილი 1. მოგებისა და სამემოსავლო გადასახადის საგადასახადო დანახარჯების ნუსხა

მით.	ლონისძიება	საგად.კოდ.მუხლი	პოლიტიკა	სახე	გადასახადი
1	ორ წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული აქტივების [საცხოვრებელი ბინა (სახლი) და სხვა პირადი ქონება, გარდა ავტოსატრანსპორტო საშუალებისა] მიწოდებით მიღებული შემოსავალი	82.1(ვ) (3-ა), (3-ბ)	TE	EX	IT
2	6 თვეზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების რეალიზაციით მიღ;	82.1(ვ.ბ)	TE	EX	IT
3	კომპანიის ლიკვიდაციის ან კაპიტალის შემცირების გზით პარტნიორ ფიზ. პირზე წილის სანაცვლოდ	82.1(ზ)	TE	EX	IT
5	ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტიდან მიღებული პროცენტები, წყაროსთან არ იბეგრება და i	131.5	TE	EX	IT/PT
7.1	თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში თიზ-ის საწარმოდან მიღებული პროცენტი გადახდის წყაროსთან	131.9	TE	EX	IT
7.2	თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში თიზ-ის საწარმოდან მიღებული დივიდენდი გადახდის წყაროსთან	130.7	TE	EX	IT
7.3	თიზ-ის საწარმოს მიერ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში ნებადართული საქმიანობიდან მიღებულ	99.1(ფ)	TE	EX	IT/PT
8	ვირტუალური ზონის იურ. პირის მიერ შექმნილი საინფორმაციო ტექნოლოგიების საქართველოს ფა	99.1(ქ)	TE	EX	IT/PT
9	ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტის მიერ მიღებული მოგების განაწილება	99.1(რ)	TE	EX	IT/PT
10	სპეციალური სავაჭრო კომპანიის მიერ ნებადართული საქმიანობიდან მიღებული მოგების განაწილე	99.1(ტ)	TE	EX	IT/PT
11.1	რეზიდენტი იურ. პირის მიერ 1/1/2023-მდე საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებულ	82.1(უ ²)	TE	EX	IT
11.2	რეზიდენტი იურ. პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართვე	82.1(უ ¹), (უ ³)	TE	EX	IT
12.1	არარეზიდენტის მიერ, რეზიდენტი იურ. პირის მიერ 1/1/2023-მდე საქართველოში საჯარო შეთავაზ.	99.1(ბ ²)	TE	EX	IT/PT
12.2	არარეზიდენტის მიერ რეზიდენტი იურ. პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამ	99.1(ბ ¹), (ბ ³)	TE	EX	IT/PT
13	1/1/2023-მდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრის მიერ ამ კოოპერატივისაგან მიღებული დი	130.4 ¹	TE	EX	IT
14	1/1/2023-მდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისა და მის წევრთა შორის სასოფლო-სამეურნეო საქმი	100.4(ზ)	TE	EX	IT
15	მაღალმთიანი დასახლების საწარმოს მიერ ამავე დასახლებაში საქმიანობიდან მიღებული მოგების	99.1(ღ), 82.1.3 ³	TE	EX	PT
16	მაღალმთიანი დასახლებაში მუდმივად მცხოვრების სტატუსის მქონე პირის მიერ ასეთ დასახლებაში	82.2(ა)	TE	EX	IT
17.1	ა-ნ მეტეპილიანი პირის მიერ მაღალმთიან დასახლებაში საბიუჯეტო ორგანიზაციიდან მიღებუ	82.2(ა.3.)	TE	EX	IT
17.2	მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ ერთ- ან ორპილიანი პირის ასეთ დასახლებაში საბი	82.2(ა.3)	TE	EX	IT
18	მაღალმთიან დასახლებაში ან ისეთ დასახლებაში ან ისეთში, სადაც სანოტარო სერვისები არ იყო ხ	82.1(ა ¹)	TE	EX	IT
19	მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი არ იხდის სამემოსავლო გადასახადს	86	TE	EX	IT
20	მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის მიერ დაქირავებული პირებისთვის კალენდარული წლის გან	100.4(დ), 94.4(ა)	TE	EX	IT
21	აზარტული კლუბის, სათამაშო აპარატების სალონის, აგრეთვე ტოტალიზატორის მომწყობი პირები	82.1(დ)	TE	EX	IT
25	ოლიმპიურ თამაშებში, საქარდაკო ოლიმპიადებში, მსოფლიო ან/და ევროპის ჩემპიონატებში და ა.	82.1(გ)	TE	EX	IT
26	ალიმენტი და განქორწინების საფუძველზე მიღებული ქონების ღირებულება (შემოსავალი)	82.1(დ)-(ე)	TE	EX	IT
27	სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირიდან საქავე	82.1(ბ ¹)	TE	EX	IT
28	მკურნალობის ან/და სამედიცინო მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად საქველმოქმედო ორ	82.1(ბ ²)	TE	EX	IT
29	სოციალურად დაუცველი ოჯახების ბაზაში რეგისტრირებული პირის, საქართველოს მთლიანობისა	82.1(წ)	TE	EX	IT
30	ომის ვეტერანი საქართველოს მოქალაქის მიერ მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 3 000 ლარამდე	82.2(ა.ა)	TE	EX	IT
31	იმ პირის 3 000 ლარამდე დასაბეგრი შემოსავალი, რომელსაც მინიჭებული აქვს "ქართლის დედის" ს	82.2(ა.ბ)	TE	EX	IT
32	იმ პირის 3 000 ლარამდე დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც არის მარტოხელა დედა ან რომელმაც ი	82.2(ა.გ, ა.დ, ა.ე)	TE	EX	IT
33	ბავშვობიდან შშმ პირის, აგრეთვე მკვეთრად და მძიმელოვნად გამოხატული შშმ პირის მიერ კალ	82.2(ბ)	TE	EX	IT
36	ლატარიიდან მიღებული მოგება, რომლის ღირებულება არ აღემატება 1 000 ლარს	82.1(ღ)	TE	EX	IT
37	არარეზიდენტის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი საწარმოს, ორ	82.1(რ), 99.1(კ)	TE	EX	IT/PT
38	არარეზიდენტის მიერ ქონების ლიზინგით გაცემიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთ	82.1(ს), 99.1(ლ)	TE	EX	IT/PT
39	მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მფლობელი საცალო მომხმარებლის მიერ წამრმოებული ჭ	82.1(კ ³)	TE	EX	IT
40	სახელმწიფოს, ეროვნული ბანკის ან საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის ფასიანი ქაღალდები	82.1(ტ), (უ)	TE	EX	IT
41	სახელმწიფოს, საქართველოს ეროვნული ბანკის ან საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის სასესი	82.1(ტ), (უ), 99.1(მ)	TE	EX	IT/PT
42	საცხოვრებელი ფართობის ორგანიზაციაზე საცხოვრებელი მიზნით გაქირავების შედეგად იმ ფიზიკ	81.2	TE	RR	IT
43	ფიზიკური პირის მიერ საცხოვრებელი ბინის (სახლის) და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთის მიწო	81.3	TE	RR	IT
44	ფიზიკური პირის მიერ ავტოსატრანსპორტო სასაუბლების მიწოდებით მიღებული ნამეტი შემოსავალ	81.3	TE	RR	IT
45.1	მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 1 პროცენტით, გარდა 90-	90.1	TE	RR	IT
45.2	მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 3 პროცენტით, თუ ეკონომ	90.2	TE	RR	IT
46.1	ფიქსირებული გადასახადის განაკვეთი საქ. მთავრობის მიერ განსაზღვრული საქმიანობის მიხედვი	95 ³ (ა)	TE	RR	IT/PT
46.2	ფიქსირებული გადასახადის განაკვეთი საქ. მთავრობის მიერ განსაზღვრული საქმიანობის მიხედვი	95 ³ (ბ)	TE	RR	IT/PT
50	ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობი პირის მიერ ასეთი ტოტალიზატო	309.16	TE	RR	IT/PT
51	ტურისტული საწარმოს მიერ ფიზიკურ პირზე შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ან	133 ²	TE	RR	IT
52	კაპიტალის მატება (გადასახადის გადავადების ეფექტი) არ არის მიჩნეული შემოსავლად	151	TE	EX	-
53	არარეზიდენტის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი (სხვა), რომელ	134.1(ე)	TE	RR	IT/PT
54	არარეზიდენტის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული როიალტი, რომელიც არ გა	134.1(ბ ¹)	TE	RR	IT/PT
55	გადასახადის გადახედვლს უფლება აქვს სრულად გამოქვითოს ძირითადი საშუალებების, გარდა საწ	112.1	TE	RR	IT/PT

III.b დამატებული ღირებულების გადასახადის საგადასახადო დანახარჯები


საგადასახადო კოდექსი მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადის (VATE) 66 დანახარჯს, რომელიც მოიცავს ჩათვლის უფლებით და ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული ოპერაციების კომბინაციას. ეს დანახარჯები წარმოადგენს დღგ-ს ძირითადი სისტემიდან გადახრას. მე-2 ცხრილში მოცემული გვაქვს დღგ-ს საგადასახადო დანახარჯები და მათი აღწერა საგადასახადო კოდექსიდან, პოლიტიკის კლასიფიკაცია (TE), გამოყენებული გათავისუფლების ტიპი (E- ჩათვლის უფლების გარეშე, Z ჩათვლის უფლებით). მე-2 ცხრილში მოცემული ყველა დანახარჯი ითვლება არასტრუქტურულ დანახარჯად (იხილეთ 1-ელი დანართი, სადაც განხილულია დანახარჯების კლასიფიკაცია არასტრუქტურულ და სხვა დანახარჯებად).

მე-2 ცხრილში მოცემული მიმოხილვა საგადასახადო პოლიტიკის პრიორიტეტებთან მიმართებაში შესრულებულია იგივენაირად, როგორც 1-ელ ცხრილში (მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების საგადასახადო დანახარჯები). საგადასახადო კოდექსში გათვალისწინებულია შეღავათები ძირითადად ფინანსური მომსახურების/ოპერაციების, ჯანდაცვის, ფარმაცევტულ, საგანმანათლებლო, სოფლის მეურნეობის, საერთაშორისო ტრანსპორტის, ენერჯეტიკისა და ტურიზმის სფეროში. დღგ-ს დანახარჯების აღწერა მოცემულია ამ ანგარიშის მე-4 დანართში. აღწერები ორგანიზებულია საიდენტიფიკაციო ნომრებით, რომლებიც მოცემულია მე-2 ცხრილის პირველ სვეტში. მოცემული ინფორმაცია შეიცავს საიდენტიფიკაციო ნომერს, საგადასახადო კოდექსის შესაბამის დებულებას, განხორციელების წელს, მიზანს და ბენეფიციარებს.

თავი IV. მთლიანი შეფასებული საგადასახადო დანახარჯები საქართველოსთვის

ანგარიშში შეფასებულია საგადასახადო დანახარჯები საქართველოსთვის 2018-2021 წლებში (გრაფიკი 1). მთლიანი შეფასებული საგადასახადო დანახარჯები ნომინალურ გამოსახულებაში 2021 წელს გაიზარდა, თუმცა შემცირდა მშპ-სთან მიმართებაში. 2021 წელს მან 2,759 მლნ ლარი (მშპ-ს 4.6 პროცენტი) შეადგინა, რაც 2018-2020 წლების მაჩვენებელზე (მშპ-ს 5 პროცენტზე მეტი) ნაკლებია. მთლიანი შეფასებული საგადასახადო დანახარჯები 2019 წელს 2,818 მლნ ლარამდე გაიზარდა (2018 წელთან შედარებით, როდესაც საგადასახადო დანახარჯებმა 2,401 მლნ ლარი შეადგინა). ეს ზრდა არ დაფიქსირებულა მხოლოდ ადგილობრივი ვალუტაში, არამედ - მშპ-სთან მიმართებაშიც (მშპ-ს 5.4 პროცენტიდან 5.7 პროცენტამდე). ამის შემდეგ, 2020 წელს მთლიანი საგადასახადო დანახარჯები შემცირდა მშპ-ს 5.2 პროცენტამდე, ხოლო 2021 წელს - მშპ-ს 4.6 პროცენტამდე.

გრაფიკი 1. მთლიანი შეფასებული საგადასახადო დანახარჯები, 2018-2021



წყარო: შემოსავლების სამსახური, ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშება

წყარო: შემოსავლების სამსახური და სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშება

ანგარიშში შეფასებული მთლიანი საგადასახადო დანახარჯები მოიცავს დამატებული ღირებულების, მოგებისა და საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო დანახარჯებს. 2021 წელს დამატებული ღირებულების გადასახადის საგადასახადო დანახარჯებმა მთლიანი საგადასახადო დანახარჯების 90 პროცენტი შეადგინა (მშპ-ს 4.1 პროცენტი), დარჩენილი 10 პროცენტი კი (მშპ-ს 0.5 პროცენტი) მოგებისა და საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო დანახარჯებს ეკუთვნის. აღსანიშნავია, რომ 2019 წელს მოგებისა და საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო დანახარჯები შემცირდა 2018 წელთან შედარებით (მშპ-ს 0.9 პროცენტიდან 0.6 პროცენტამდე), მაშინ როდესაც დამატებული ღირებულების გადასახადის საგადასახადო დანახარჯები, ისევე, როგორც მთლიანი საგადასახადო დანახარჯები გაიზარდა. შეფასებული მოგებისა და საგადასახადო დანახარჯები 2021 წელს 294 მლნ ლარი იყო, ხოლო დამატებული ღირებულების გადასახადის საგადასახადო დანახარჯები - 2,464 მლნ ლარი.

ანგარიში იმეორებს და აფართოებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის (Swistak et al. [2022]) მიერ შესრულებულ სამუშაოს. ასევე, დამატებით, განავრცობს როგორც USAID-ის მიერ ჩატარებულ მოგებისა და საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო დანახარჯების

რაოდენობრივ შეფასებას (საგადასახადო დანახარჯების ანალიზი, USAID 2021), ასევე - IMF-ის მიერ 2020 წელს შესრულებულ დღგ-ს დანახარჯების რაოდენობრივ შეფასებას (VAT expenditure policy, Swistak et al., 2020). ანგარიშში გამოყენებულია უახლესი მონაცემები და შესაბამისად, შეფასებები განახლებულია 2021 წლისთვის. ანგარიში მოიცავს რამდენიმე მეთოდოლოგიურ განახლებას/გაუმჯობესებას, როგორცაა მოგებისა და საშემოსავლო გადასახადის, ასევე - დღგ-ს საგადასახადო დანახარჯების შერჩეულ რაოდენობრივ პარამეტრებზე და დაშვებებზე სენსიტიურობის ანალიზის ჩატარება (დანართი 5 და დანართი 6). სენსიტიურობის ანალიზის შედეგად რაოდენობრივი შეფასებისთვის შერჩეული მეთოდები შემდეგია:

- **საპროცენტო შემოსავლის საგადასახადო დანახარჯების შეფასება** - ანგარიში არ ითვალისწინებს დაშვებას საპროცენტო განაკვეთების პარიტეტის არსებობის შესახებ და შეფასების შედეგები კორექტირებულია გადასახადის გადახდის პერიოდითა და დეპოზიტების ვალუტის დეკომპოზიციით. გამოყენებული მეთოდოლოგია გულისხმობს, რომ ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში არსებულ დეპოზიტებს განსხვავებული რისკიანობის საპროცენტო განაკვეთები გააჩნიათ.
- **მცირე ბიზნესის სტატუსთან დაკავშირებული შეფასებული საშემოსავლო საგადასახადო დანახარჯები** - გამოყენებულია დაშვება 6.22 პროცენტისანი მოგების მარჟის შესახებ. ეს ნიშნავს, რომ საშუალო მოგების მარჟა დათვლილია მთლიანი ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და მოგების მონაცემების მიხედვით. თუმცა, 2015-2019 წლების საშუალო მოგების მარჟის ნაცვლად, ანგარიშში გამოყენებულია 2016-2020 წლების საშუალო მნიშვნელობა. სენსიტიურობის ანალიზის თვალსაზრისით, დამატებითი შეფასებები გაკეთებულია როგორც მხოლოდ მცირე ბიზნეს სექტორის მოგების მარჟის მიხედვით, ასევე - მცირე და მთლიანი ბიზნეს სექტორის საშუალო მოგების მარჟით.
- **დღგ-ს საგადასახადო დანახარჯების შეფასება** - დაშვებულია, რომ დღგ-ს ბენჩმარკში არ გაითვალისწინება არაფორმალური სექტორი. სენსიტიურობის ანალიზისთვის ბენჩმარკი მოიცავს მონაცემებს არაფორმალური სექტორის შესახებ ალტერნატიული სპეციფიკაციით (იხ. დანართი 6). გამომდინარე იქიდან, რომ არაფორმალური სექტორის შეფასება ისეთ დამატებით სირთულეებთან არის დაკავშირებული, როგორცაა მონაცემების ხელმისაწვდომობა და სიზუსტე, დღგ-ს საგადასახადო დანახარჯების რაოდენობრივი შეფასებისას, ანგარიშში საგადასახადო დანახარჯები არაფორმალური სექტორის გაუთვალისწინებლად არის გამოთვლილი.

IV.a მოგების და საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო დანახარჯები

მოცემულ ანგარიშში შეფასებულია მოგების და საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო დანახარჯები შემდეგი გადასახადებისთვის - ძველი მოგების გადასახადი (Old CIT),

განაწილებული მოგების გადასახადი (ესტონური მოდელი) (DPT), საშემოსავლო გადასახადი (PIT) და სხვა მოგებისა და საშემოსავლო გადასახადები.

მოგების გადასახადს იხდიან კომპანიები, ხოლო გადასახდელი რაოდენობა გამოითვლება კომპანიის წმინდა მოგების საფუძველზე და დამოკიდებულია საგადასახადო წლის მანძილზე მათ ბიზნეს აქტივობაზე. მოგების გადასახადი 15 პროცენტს შეადგენს. გადასახდელი მოგების გადასახადი გამოითვლება კომპანიის წმინდა მოგების (ხარჯების გამოკლების შემდგომ, ამორტიზაციის ჩათვლით) 15 პროცენტიან საგადასახადო განაკვეთზე გამრავლებით.

განაწილებული მოგების გადასახადი (ესტონური მოდელი) (DPT), რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს, მოიცავს ყველა სახის იურიდიული ფორმის ბიზნესს გარდა - კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკრო-საფინანსო ორგანიზაციების, საკრედიტო გაერთიანებების, ლომბარდების, კომპანიების რომლებიც ნავთობისა და გაზის რეალიზაციიდან იღებენ მოგებას და ასევე სიტემურ-ელექტრონული ფორმით მოქმედი ტოტალიზატორები, რომლებიც ძველი მოგების გადასახადის რეჟიმს ექვემდებარებიან 2023 წლის 1 იანვრამდე. მოგების გადასახადის ძველსა და ახალ (ესტონურ) მოდელს შორის ძირითადი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ახალი მოდელით მოგებით მიღებული შემოსავლების დაბეგრის გადავადება ხდება იმ დრომდე, სანამ მისი განაწილება არ მოხდება. ესტონური მოდელიც (DPT) 15 პროცენტიანი განაკვეთით ბეგრავს განაწილებულ მოგებას.

მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი საგადასახადო განაკვეთები, შესაბამის ორმხრივ და საერთაშორისო ხელშეკრულებებზე მორგებული, უნდა ჩაითვალოს საქართველოში ბენჩმარკ (მოგების) საგადასახადო სისტემის ნაწილად. ორივე რეჟიმი (Old CIT და DPT) ძალაშია 2023 წლის პირველ იანვრამდე და შესაბამისად, შეტანილი უნდა იყოს მოგების გადასახადის ბენჩმარკში.

საშემოსავლო გადასახადის (PIT) გადამხდელები საქართველოში არიან როგორც რეზიდენტები, ასევე - არარეზიდენტი ფიზიკური პირები. საქართველოს რეზიდენტები იხდიან საშემოსავლო გადასახადს საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ მიღებულ შემოსავალზე, ხოლო არარეზიდენტებისთვის დაბეგრადია მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე მიღებული შემოსავალი. საშემოსავლო გადასახადი საქართველოში ფიქსირებულ 20 პროცენტს შეადგენს და მოცემულ ანგარიშში განიხილება საშემოსავლო გადასახადის ბენჩმარკად.

ზემოხსენებული მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების მანასიათებლებიდან გამომდინარე, წინამდებარე ანგარიშში საშემოსავლო და მოგების საგადასახადო დანახარჯები (ITE) შეფასებულია, როგორც მათი ბენჩმარკიდან გადახრა, 2018-2021 წლებისათვის (ცხრილი 3). აღნიშნულ ანგარიშში მოგებისა და საშემოსავლო საგადასახადო დანახარჯები ძირითადად დაკავშირებულია საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო დანახარჯთან (მშპ-ს 0.4 პროცენტი საშუალოდ 2018-2021 წლებში) და მოგების გადასახადის საგადასახადო დანახარჯთან (2018-2021 წლებში საშუალოდ მშპ-ს 0.06 პროცენტი და 0.2 პროცენტი, განაწილებული მოგებისა და ძველი მოგების გადასახადისათვის, შესაბამისად). სხვა საგადასახადო დანახარჯები (როგორცაა მცირე ბიზნესის სტატუსთან დაკავშირებული საგადასახადო დანახარჯები) ძირითადად მშპ-ს 0.02 პროცენტის ფარგლებშია და შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანია.

ცხრილი 3. მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების შეფასებული საგადასახადო დანახარჯები, 2018-2021 წლები

ცხრილი 3.ა. მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების შეფასებული საგადასახადო დანახარჯები, მლნ ლარი და %-ულად მშპ-სთან

დაკავშირებულია ცხრილ 1-თან	დებულუბა	აღწერა წელი	მლნ ლარი				% -ულად მშპ-სთან				
			2018	2019	2020	2021	2018	2019	2020	2021	
		I. საშემოსავლო:									
42,43,44	81.2, 81.3	შემოსავლი აქტივის გაყიდვიდან ან გაქირავებიდან, სადაც:	7.02	6.19	5.35	6.13	0.02	0.01	0.01	0.01	
42,43,44	81.2, 81.3	აქტივის გაყიდვა	2.25	1.67	1.18	1.41	0.00	0.00	0.00	0.00	
42,43,44	81.2, 81.3	აქტივის გაქირავება	4.77	4.52	4.17	4.72	0.01	0.01	0.01	0.01	
ითი. დებულუბა 82.1	82.1 (წარჩენ.)	მუხლი 82, ნაწილი 1 (სხვადასხვა)	102.81	100.01	85.19	160.88	0.23	0.20	0.17	0.27	
ითი. დებულუბა 82.2	82.2	მუხლი 82, ნაწილი 2 (სხვადასხვა)	3.53	2.42	1.91	1.49	0.01	0.00	0.00	0.00	
21	82.1 (ბ)	შემოსავალი ელექტრონულ ფორმაში ორგანიზებული აზარტული თამაშებიდან	0.26	0.13	0.05	0.05	0.00	0.00	0.00	0.00	
19	86	მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი	51.78	18.37	16.75	18.79	0.12	0.04	0.03	0.03	
5	131.5	საპროცენტო შემოსავალი ლიცენზირებული საფინანსო ინსტიტუტიდან	23.02	26.73	33.04	34.62	0.05	0.05	0.07	0.06	
4	82.1(გ)	მემორანდუმი: რეზიდენტების შემოსავალი უცხოეთიდან	7.82	5.66	6.98	66.49	0.02	0.01	0.01	0.11	
		<i>ჯამი, საშემოსავლო (მემორანდუმის გარდა)</i>	188.42	153.85	142.29	221.96	0.42	0.31	0.29	0.37	
		II. შემოსავალი მოგებიდან:									
ითი. დებულუბა 99	99	II.ა. განაწილებული მოგების გადასახადი (DPT), სადაც:	31.59	25.84	32.25	42.81	0.07	0.05	0.06	0.07	
	n.a.	განაწილებული მოგება, სადაც:	24.62	20.14	25.13	33.36	0.05	0.04	0.05	0.06	
15	99.1 (დ), 82.1.3 ¹	საწარმოები მაღალმთიან დასახლებაში	0.64	0.83	0.97	0.93	0.00	0.00	0.00	0.00	
8	99.1 (ე)	ვირტუალური ზონები	1.01	3.95	4.98	6.45	0.00	0.01	0.01	0.01	
7.3	99.1 (ზ)	თავისუფალი ინდუსტრიული ზონები	0.15	0.29	0.30	0.43	0.00	0.00	0.00	0.00	
12	99.1(ბ), (ბ), (ბ)	საერთაშორისო კომპანიები	0.30	0.38	0.21	0.44	0.00	0.00	0.00	0.00	
9	99.1 (რ)	ტურისტული ორგანიზაციები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	
	n.a.	სხვა, არასპეციალური რეჟიმი	22.52	14.69	18.67	25.11	0.05	0.03	0.04	0.04	
	n.a.	დივიდენდები, სადაც	6.97	5.71	7.12	9.45	0.02	0.01	0.01	0.02	
15	99.1 (დ), 82.1.3 ¹	საწარმოები მაღალმთიან დასახლებაში	0.18	0.23	0.27	0.26	0.00	0.00	0.00	0.00	
8	99.1 (ე)	ვირტუალური ზონები	0.29	1.12	1.41	1.83	0.00	0.00	0.00	0.00	
7.3	99.1 (ზ)	თავისუფალი ინდუსტრიული ზონები	0.04	0.08	0.09	0.12	0.00	0.00	0.00	0.00	
12	99.1(ბ), (ბ), (ბ)	საერთაშორისო კომპანიები	0.09	0.11	0.06	0.12	0.00	0.00	0.00	0.00	
9	99.1 (რ)	ტურისტული ორგანიზაციები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	
	n.a.	სხვა, არასპეციალური რეჟიმი	6.37	4.17	5.29	7.12	0.02	0.01	0.01	0.01	
	სხვადასხვა	II.ბ. მცელი მოგების გადასახადის (CIT) რეჟიმი, სადაც:	162.48	89.10	87.38	20.63	0.36	0.18	0.18	0.03	
	n.a.	საწარმოები მაღალმთიან დასახლებაში	0.08	0.04	0.00	0.01	0.00	0.00	0.00	0.00	
	n.a.	ვირტუალური ზონები	0.06	0.06	0.09	0.08	0.00	0.00	0.00	0.00	
	n.a.	თავისუფალი ინდუსტრიული ზონები	0.97	0.22	0.06	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	
	n.a.	სხვა, არასპეციალური რეჟიმი	161.37	88.78	87.23	20.54	0.36	0.18	0.18	0.03	
9	99.1 (რ)	მემორანდუმი: საწარმოები ტურისტულ ზონაში	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	
		<i>ჯამი, შემოსავალი მოგებიდან (მემორანდუმის გარდა)</i>	194.07	114.94	119.63	63.44	0.43	0.23	0.24	0.11	
		III. სხვა:									
50	309.16	ტოტალიზატორის ფსონები ელექტრონულ ფორმაში	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	
45	90.1, 90.2	მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი, სადაც	1.12	3.35	3.36	4.69	0.00	0.01	0.01	0.01	
45.1	90.1	1%-იანი გადასახადი	1.20	3.61	3.84	5.73	0.00	0.01	0.01	0.01	
45.2	90.2	3%-იანი გადასახადი	-0.07	-0.27	-0.48	-1.04	0.00	0.00	0.00	0.00	
46	95 ³ (ა)-(ბ)	ერთჯერადი საგადასახადო რეჟიმი	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	
55	112.1	აქტივების მთლიანი ამორტიზაცია: საიდანაც:	9.19	7.40	5.68	4.36	0.021	0.015	0.012	0.007	
		საშემოსავლო	2.22	2.41	1.32	2.18	0.005	0.005	0.003	0.004	
		შემოსავალი მოგებიდან	6.97	5.00	4.36	2.18	0.016	0.010	0.009	0.004	
		<i>ჯამი, სხვა</i>	10.32	10.75	9.04	9.05	0.02	0.02	0.02	0.02	
		მთლიანი ჯამი (I + II + III)	392.81	279.54	270.97	294.45	0.88	0.57	0.55	0.49	

ცხრილი 3.ბ. მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების შეფასებული საგადასახადო დანახარჯები, %-ულად საგადასახადო შემოსავლებთან და მოგებისა და საშემოსავლო საგადასახადო შემოსავლებთან

დაკავშირებულია ცხრილ 1-თან	დებულუბა	აღწერა წელი	% -ულად საგადასახადო შემოსავლებთან				% -ულად საშემოსავლო და მოგების საგადასახადო შემოსავლებთან			
			2018	2019	2020	2021	2018	2019	2020	2021
I. საშემოსავლო:										
42,43,44	81.2, 81.3	შემოსავლი აქტივის გაყიდვიდან ან გაქირავებიდან, სადაც:	0.07	0.06	0.05	0.05	0.18	0.14	0.13	0.13
42,43,44	81.2, 81.3	აქტივის გაყიდვა	0.02	0.01	0.01	0.01	0.06	0.04	0.03	0.03
42,43,44	81.2, 81.3	აქტივის გაქირავება	0.05	0.04	0.04	0.04	0.12	0.10	0.10	0.10
მით. დებულუბა 82.1	82.1 (ნარჩენ.)	მუხლი 82, ნაწილი 1 (სხვადასხვა)	1.03	0.93	0.86	1.40	2.58	2.30	2.01	3.36
მით. დებულუბა 82.2	82.2	მუხლი 82, ნაწილი 2 (სხვადასხვა)	0.04	0.02	0.02	0.01	0.09	0.06	0.05	0.03
21	82.1 (დ)	შემოსავალი ელექტრონულ ფორმაში ორგანიზებული აზარტული თამაშებიდან	0.00	0.00	0.00	0.00	0.01	0.00	0.00	0.00
19	86	მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი	0.52	0.17	0.17	0.16	1.30	0.42	0.39	0.39
5	131.5	საპროცენტო შემოსავალი ლიცენზირებული საფინანსო ინსტიტუტიდან	0.23	0.25	0.33	0.30	0.58	0.61	0.78	0.72
4	82.1(ე)	მემორანდუმი: რეზიდენტების შემოსავალი უცხოეთიდან	0.08	0.05	0.07	0.58	0.20	0.13	0.16	1.39
ჯამი, საშემოსავლო (მემორანდუმის გარდა)			1.89	1.42	1.43	1.94	4.73	3.54	3.35	4.63
II. შემოსავალი მოგებიდან:										
II.ა. განაწილებული მოგების გადასახადი (DPT), სადაც:										
მით. დებულუბა 99	99	განაწილებული მოგება, სადაც:	0.32	0.24	0.32	0.37	0.79	0.59	0.76	0.89
15	n.a.	საწარმოები მაღალმთიან დასახლებაში	0.25	0.19	0.25	0.29	0.62	0.46	0.59	0.70
8	99.1 (დ), 82.1.3	ვირტუალური ზონები	0.01	0.01	0.01	0.01	0.02	0.02	0.02	0.02
7.3	99.1 (ე)	თავისუფალი ინდუსტრიული ზონები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.01	0.01	0.01
12	99.1(შ), (ჭ), (თ)	საერთაშორისო კომპანიები	0.00	0.00	0.00	0.00	0.01	0.01	0.00	0.01
9	99.1 (რ)	ტურისტული ორგანიზაციები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
	n.a.	სხვა, არასპეციალური რეჟიმი	0.23	0.13	0.19	0.22	0.56	0.34	0.44	0.52
15	n.a.	დივიდენდები, სადაც	0.07	0.05	0.07	0.08	0.17	0.13	0.17	0.20
8	99.1 (დ), 82.1.3	საწარმოები მაღალმთიან დასახლებაში	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.01	0.00
7.3	99.1 (ე)	ვირტუალური ზონები	0.00	0.01	0.01	0.02	0.01	0.03	0.03	0.04
12	99.1 (ნ)	თავისუფალი ინდუსტრიული ზონები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
9	99.1(შ), (ჭ), (თ)	საერთაშორისო კომპანიები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
	99.1 (რ)	ტურისტული ორგანიზაციები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
	n.a.	სხვა, არასპეციალური რეჟიმი	0.06	0.04	0.05	0.06	0.16	0.09	0.13	0.15
	სხვადასხვა	II.ბ. ძველი მოგების გადასახადის (GIT) რეჟიმი, სადაც:	1.63	0.82	0.88	0.18	4.08	2.05	2.06	0.43
	n.a.	საწარმოები მაღალმთიან დასახლებაში	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
	n.a.	ვირტუალური ზონები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
	n.a.	თავისუფალი ინდუსტრიული ზონები	0.01	0.00	0.00	0.00	0.02	0.00	0.00	0.00
	n.a.	სხვა, არასპეციალური რეჟიმი	1.61	0.82	0.88	0.18	4.05	2.04	2.06	0.43
9	99.1 (რ)	მემორანდუმი: საწარმოები ტურისტულ ზონაში	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
ჯამი, შემოსავალი მოგებიდან (მემორანდუმის გარდა)			1.94	1.06	1.20	0.55	4.87	2.64	2.82	1.32
III. სხვა:										
50	309.16	ტოტალიზატორის ფსონები ელექტრონულ ფორმაში	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	1.00	2.00	3.00
45	90.1, 90.2	მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი, სადაც	0.01	0.03	0.03	0.04	0.03	0.08	0.08	0.10
45.1	90.1	1%-იანი გადასახადი	0.01	0.03	0.04	0.05	0.03	0.08	0.09	0.12
45.2	90.2	3%-იანი გადასახადი	0.00	0.00	0.00	-0.01	0.00	-0.01	-0.01	-0.02
46	95(ა)(ბ)	ერთჯერადი საგადასახადო რეჟიმი	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
55	112.1	აქტივების მთლიანი ამორტიზაცია: საიდანაც:	0.09	0.07	0.06	0.04	0.23	0.17	0.13	0.09
		საშემოსავლო	0.02	0.02	0.01	0.02	0.06	0.06	0.03	0.05
		შემოსავალი მოგებიდან	0.07	0.05	0.04	0.02	0.17	0.11	0.10	0.05
		ჯამი, სხვა	0.10	0.10	0.09	0.08	0.26	0.25	0.21	0.19
მთლიანი ჯამი (I + II + III)			3.93	2.59	2.73	2.57	9.86	6.43	6.38	6.15


წყარო: შემოსავლების სამსახური და სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშება

მთლიანი შეფასებული მოგებისა და საშემოსავლო საგადასახადო დანახარჯი 2021 წელს 294 მლნ ლარი იყო. აღნიშნული მაჩვენებელი 2018 წლის 393 მლნ ლარიდან 2019 წელს 280 მლნ

ლარამდე შემცირდა (ძირითადად მოგების ძველი გადასახადის გამო, რაც 162-დან 89 მლნ ლარამდე შემცირდა), ხოლო 2020 წელს 271 მლნ ლარი შეადგინა.

მთლიანმა მოგებისა და საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო დანახარჯებმა 2021 წელს მშპ-ს 0.5 პროცენტი შეადგინა. 2018 წელს აღნიშნული მაჩვენებელი მშპ-ს 0.9 პროცენტს შეადგენდა (რაც ძირითადად განპირობებული იყო ძველი მოგების გადასახადით), ხოლო 2019 და 2020 წლებში 0.6 პროცენტზე დაფიქსირდა (გრაფიკი 2). აღსანიშნავია, რომ 2021 წლისთვის საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო დანახარჯები გაიზარდა (მშპ-ს 0.3 პროცენტიდან 0.4 პროცენტამდე), ხოლო ძველი მოგების გადასახადთან დაკავშირებული საგადასახადო დანახარჯები მნიშვნელოვნად შემცირდა, მშპ-ს 0.2 პროცენტიდან 0.03 პროცენტამდე. საგადასახადო დანახარჯების აღნიშნული შემცირება (63 მლნ ლარი) ძირითადად სოციალურ საქმიანობაზე მოდის, რაც 2020 წელს წინა წელთან შედარებით გაორმაგდა. ამის პარალელურად, 2020 წელს საგადასახადო დანახარჯები შემცირდა საფინანსო საქმიანობაში (45 მლნ ლარით) და 2021 წელსაც დაბალ ნიშნულზე შენარჩუნდა.

გრაფიკი 2. შეფასებული მოგებისა და საშემოსავლო საგადასახადო დანახარჯი, 2018-2021




წყარო: შემოსავლების სამსახური და სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშება

IV.a.1 ძველი მოგების გადასახადი (Old CIT)

მთლიანი საგადასახადო დანახარჯი ძველი მოგების გადასახადისთვის 2021 წელს 20.6 მლნ ლარი იყო (მშპ-ს 0.03 პროცენტი). 2018-2020 წლებში აღნიშნულმა მაჩვენებელმა 162.5, 89.1 და 87.4 მლნ ლარი შეადგინა, რაც შესაბამისად მშპ-ს 0.4, 0.2 და 0.2 პროცენტს გულისხმობს. ხოლო 2021 წელს ის კიდევ უფრო შემცირდა და მშპ-ს 0.03 პროცენტს გაუტოლდა (გრაფიკი 3).

გრაფიკი 3. შეფასებული ძველი მოგების (Old CIT) საგადასახადო დანახარჯები გადამხდელთა ზომების მიხედვით, 2018-2021



წყარო: შემოსავლების სამსახური, ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშება

წყარო: შემოსავლების სამსახური და სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშება

ძველი მოგების გადასახადი 2018-2021 წლებისთვის ასევე გაანალიზებულია გადამხდელთა კატეგორიების მიხედვით. გადამხდელთა კატეგორიები განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის N29355 ბრძანებით - „გადასახადის გადამხდელისთვის სიდიდის შესაბამისი კატეგორიის განსაზღვრის, გაუქმებისა და აღრიცხვის წესის შესახებ“ შიდა ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.


მსხვილი გადამხდელია პირი, რომლის მიერ შესაბამისი კატეგორიის განსაზღვრის თვის წინა 12 კალენდარული თვის სავალო თარიღების მიხედვით დეკლარირებული დღგ-ს ბრუნვები, ჯამურად, ტოლია ან მეტია 80 მლნ ლარზე. საშუალო გადამხდელია პირი, რომლის მიერ შესაბამისი კატეგორიის განსაზღვრის თვის წინა 12 კალენდარული თვის სავალო თარიღების მიხედვით დეკლარირებული დღგ-ს ბრუნვები, ჯამურად, ტოლია ან მეტია 1 მლნ ლარზე. მცირე გადამხდელია პირი, რომელსაც არ განესაზღვრა მსხვილი ან საშუალო გადამხდელის კატეგორია.

2021 წელს ძველი მოგების გადასახადის საგადასახადო დანახარჯებში საშუალო ზომის გადამხდელთა საგადასახადო დანახარჯების მოცულობა 14.6 მლნ ლარი იყო (მშპ-ს 0.02 პროცენტი), რაც ჩამოუვარდება წინა წლის მაჩვენებელს, მაგრამ მისი წილი მოგების გადასახადის დანახარჯებში კვლავ ყველაზე მეტია (მცირე და მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო დანახარჯები ჯამურად 6 მლნ ლარს შეადგენს, რაც მშპ-ს 0.01 პროცენტი). 2018 წელს ძველი მოგების გადასახადის საგადასახადო დანახარჯებში ყველაზე დიდი წილი (მშპ-ს 0.2 პროცენტი) საშუალო ზომის გადასახადის გადამხდელებს ჰქონდათ, თუმცა გადასახადების გადამხდელების ზომის მიხედვით ეს სტრუქტურა შეიცვალა შემდეგი წლიდან. 2019 წლიდან მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო დანახარჯების მოცულობა გაიზარდა 44.3 მლნ-დან 52.3 მლნ ლარამდე, რამაც მშპ-ს 0.1 პროცენტი შეადგინა. ამავე პერიოდში მცირე გადამხდელთა წილი

მშპ-ს 0.1 პროცენტიდან 0.01 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო საშუალო ზომის გადამხდელთა წილი განახევრდა და მშპ-ს 0.07 პროცენტი შეადგინა. 2020 წელს საშუალო ზომის გადამხდელებს კვლავ ყველაზე დიდი წილი ჰქონდათ, რამაც 77.5 მლნ ლარი და მშპ-ს 0.2 პროცენტი შეადგინა, ამავე დროს კი მსხვილ და მცირე გადამხდელთა წილი მშპ-ს 0.01 პროცენტს გაუტოლდა. 2021 წლისთვის გადასახადების გადამხდელების წილები გადამხდელთა ზომის მიხედვით შედარებით თანაბრად არის გადანაწილებული.


ძველი მოგების გადასახადის საგადასახადო დანახარჯები ასევე გაანალიზებულია NACE-2 სექტორების მიხედვით. 2021 წელს ძველი მოგების გადასახადის საგადასახადო დანახარჯებში ტოპ სექტორები არც თუ ისე დივერსიფიცირებული იყო, რადგან დანახარჯების 61 პროცენტი სოციალურ საქმიანობას ეკავა, ხოლო ფინანსური საქმიანობა 18 პროცენტს შეადგენდა. 2018 წელს ტოპ სექტორები საკმაოდ დივერსიფიცირებული იყო და ტოპ სექტორები ძველი მოგების გადასახადის საგადასახადო დანახარჯებში შემდეგნაირად იყო წარმოდგენილი: საფინანსო საქმიანობა დაზღვევისა და საპენსიო ფონდის გარეშე (27 პროცენტი), ტელეკომუნიკაცია (25 პროცენტი), სოციალური საქმიანობა (10 პროცენტი), განათლება (7 პროცენტი), მშენებლობა (5 პროცენტი). 2019 წლიდან ეს სტრუქტურა მნიშვნელოვნად შეიცვალა: საფინანსო საქმიანობა დაზღვევისა და საპენსიო ფონდის გარეშე (59 პროცენტი) და სოციალური საქმიანობა (34 პროცენტი) ორზე მეტჯერ გაიზარდა. 2020 წელს სოციალურმა საქმიანობამ მთლიანი ძველი მოგების გადასახადის საგადასახადო დანახარჯების 86 პროცენტს მიაღწია, ხოლო საფინანსო საქმიანობის წილი 8 პროცენტზე დაფიქსირდა.

გრაფიკი 4. შეფასებული ძველი მოგების გადასახადის (Old CIT) საგადასახადო დანახარჯები სექტორების მიხედვით, 2018-2021



წყარო: შემოსავლების სამსახური, ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშება

გრაფიკი 5. შეფასებული ძველი მოგების გადასახადის (Old CIT) საგადასახადო დანახარჯები სექტორების მიხედვით, 2018-2021




წყარო: შემოსავლების სამსახური, ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშება

ძველი მოგების საგადასახადო დანახარჯების ანალიზი შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმების მიხედვით გვიჩვენებს, რომ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებს, მატალმთიან დასახლებებს, საერთაშორისო კომპანიებსა და ვირტუალურ ზონებს არ ჰქონიათ შეფასების პერიოდში მნიშვნელოვანი საგადასახადო დანახარჯები (ჯამში 1 მლნ ლარზე ნაკლები შეადგინა).


IV.a.2 განაწილებული მოგების გადასახადი (ესტონური მოდელი) (DPT)

მთლიანი შეფასებული განაწილებული მოგების (DPT) გადასახადის საგადასახადო დანახარჯი 2021 წელს 42.8 მლნ ლარი (მშპ-ს 0.07 პროცენტი) იყო, რაც წინა წლებთან შედარებით მაღალი მაჩვენებელია. 2018 წელს ამ საგადასახადო დანახარჯმა 31.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2019 წელს 25.8 მლნ ლარამდე შემცირდა, ხოლო 2020 წელს 32.3 მლნ ლარამდე გაიზარდა.

გრაფიკი 6. შეფასებული განაწილებული მოგების (DPT) საგადასახადო დანახარჯები, სახეებისა და ზომების მიხედვით, 2018-2021



წყარო: შემოსავლების სამსახური და სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშება




წყარო: შემოსავლების სამსახური და სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშება

მთლიანი შეფასებული განაწილებული მოგების გადასახადის საგადასახადო დანახარჯები წარმოადგენს მოგებისა და დივიდენდების საგადასახადო დანახარჯების ჯამს. 2021 წელს მოგებიდან მიღებულმა საგადასახადო დანახარჯებმა 33.4 მლნ ლარი შეადგინა, მაშინ როდესაც დივიდენდების საგადასახადო დანახარჯები 9.4 მლნ ლარი იყო (მშპ-ს 0.06 და 0.02 პროცენტი, შესაბამისად). მთლიანი შეფასებული განაწილებული მოგების გადასახადის საგადასახადო დანახარჯები 2018-2021 წლებში მშპ-ს 0.05 პროცენტიდან 0.07 პროცენტამდე მერყეობდა (გრაფიკი 6). მსხვილი და საშუალო ზომის გადამხდელთა წილი მთლიან საგადასახადო დანახარჯებში თითქმის ტოლია, განსაკუთრებით კი 2020 და 2021 წლებში (მშპ-ს

0.03 პროცენტი), ხოლო მცირე გადამხდლების წილი ამავე პერიოდისთვის მშპ-ს მხოლოდ 0.01 პროცენტია.

გრაფიკი 7. შეფასებული განაწილებული მოგების (DPT) საგადასახადო დანახარჯები სექტორების მიხედვით, 2018-2021



წყარო: შემოსავლების სამსახური, ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშება


სექტორების წვლილი შეფასებული განაწილებული მოგების გადასახადის საგადასახადო დანახარჯებში წლების განმავლობაში შეიცვალა. 2021 წელს აღნიშნულ საგადასახადო დანახარჯებში ყველაზე დიდი წვლილი საბითუმო და საცალო ვაჭრობამ შეიტანა (26 პროცენტი), შემდეგ კი მოდის კომპიუტერული პროგრამირება (15 პროცენტი), აზარტული თამაშები (9 პროცენტი), მშენებლობა და სასაწყობო საქმიანობა (თითოეული 8 პროცენტი) (გრაფიკი 7). 2018 წელს შემდეგმა სექტორებმა შეიტანა ყველაზე დიდი წვლილი მთლიან შეფასებულ განაწილებული მოგების გადასახადის საგადასახადო დანახარჯებში: აზარტული თამაშები (28 პროცენტი), საბითუმო და საცალო ვაჭრობა (13 პროცენტი), სასაწყობო საქმიანობა (12 პროცენტი), მშენებლობა (11 პროცენტი). შემდგომ წლებში, აზარტული თამაშების წვლილის შემცირების პარალელურად გაიზარდა ვაჭრობისა და კომპიუტერული პროგრამირების წვლილი.

სხვადასხვა შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმების განხილვისას (როგორცაა თავისუფალი ინდუსტრიული ზონები (FIZ), საერთაშორისო კომპანიები, ფარმაცევტული საწარმოები, ვირტუალური ზონები, მაღალმთიანი დასახლება, ტურისტული საწარმო) იკვეთება, რომ 2021 წელს საგადასახადო დანახარჯების უმეტესობა ვირტუალური ზონებიდან მოდის. 2018 წლიდან 2021 წლამდე ვირტუალური ზონების განაწილებული მოგების გადასახადის საგადასახადო დანახარჯები 1.3 მლნ ლარიდან 8.3 მლნ ლარამდე გაიზარდა (მშპ-ს 0.01 პროცენტს მიაღწია, რაც აბსოლუტურ მნიშვნელობაში საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია).

IV.a.3 საშემოსავლო გადასახადი (PIT)

მთლიანი შეფასებული საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო დანახარჯი 2021 წელს 222 მლნ ლარი (მშპ-ს 0.37 პროცენტი) იყო, რაც 2019-2020 წლის მაჩვენებელზე მაღალია. იგივე მაჩვენებელმა 2018 წელს 188.4 მლნ ლარი (მშპ-ს 0.42 პროცენტი) შეადგინა. ამის შემდგომ კი საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო დანახარჯმა შემცირება დაიწყო და 2019 წელს 153.8 მლნ ლარი, ხოლო 2020 წელს 142.3 მლნ ლარი (მშპ-ს 0.3 პროცენტი ორივე წელს) დაფიქსირდა.

გრაფიკი 8. შეფასებული საშემოსავლო (PIT) საგადასახადო დანახარჯები დებულებების მიხედვით, 2018-2021




წყარო: შემოსავლების სამსახური და სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ფინანსთა სამინისტროს განგარიშება

შენიშვნა: საპროცენტო შემოსავალი არ ითვალისწინებს საპროცენტო პარიტეტს, დათვლილია საშუალო ლარი-დოლარის კურსი თვის ბოლოდან შემდგომი თვის 15 რიცხვამდე, მოდიფიცირებულია ვალუტების დეკომპოზიციით GEL, USD, EUR და სხვა

საგადასახადო კოდექსის შესაბამისი დებულებების მიხედვით შეფასებული საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო დანახარჯები იძლევა ინფორმაციას, თუ რომელი შეღავათი რა ოდენობის დანახარჯთან არის დაკავშირებული (მაგალითად: შეღავათები აზარტული თამაშებიდან შემოსავალზე, აქტივებთან და საპროცენტო შემოსავალთან დაკავშირებული შეღავათები, შეღავათები მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის შემოსავალზე და ა.შ). ამ მუხლების წვლილი წლების განმავლობაში უმნიშვნელოდ შეიცვალა. ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი 2021 წელს შეიტანა შემდეგმა მუხლებმა: სხვადასხვა (მუხლი 82.1), საპროცენტო შემოსავალი (მუხლი 131.5), მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი (მუხლი 86), შემოსავალი აქტივების გაქირავებიდან (მუხლი 81.2, 81.3) და შემოსავალი აზარტული თამაშებიდან (მუხლი 82.1(z)) (გრაფიკი 8).

გრაფიკი 9. შეფასებული საშემოსავლო (PIT) საგადასახადო დანახარჯები დებულებების მიხედვით, 2018-2021



წყარო: შემოსავლების სამსახური, ფინანსთა სამინისტროს განგარიშება

შენიშვნა: საპროცენტო შემოსავალი არ ითვალისწინებს საპროცენტო პარიტეტს, დათვლილია საშუალო ლარი-დოლარის კურსი თვის ბოლოდან შემდგომი თვის 15 რიცხვამდე, მოდიფიცირებულია ვალუტების დეკომპოზიციით GEL, USD, EUR და სხვა


2018 წელს საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო დანახარჯებში ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა შემდეგმა მუხლებმა: სხვადასხვა (მუხლი 82.1) - მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების საგადასახადო შემოსავლის 2.6 პროცენტი (მშპ-ს 0.2 პროცენტი), მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი (მუხლი 86) - საშემოსავლო საგადასახადო შემოსავლის 1.3 პროცენტი (მშპ-ს 0.1 პროცენტი) და საპროცენტო შემოსავალი (მუხლი 131.5) - მოგებისა და საშემოსავლო საგადასახადო შემოსავლის 0.6 პროცენტი (მშპ-ს 0.05 პროცენტი). 2021 წელს საპროცენტო შემოსავალთან დაკავშირებული საგადასახადო დანახარჯები გაიზარდა ნომინალურ გამოსახულებაში და 34.6 მლნ ლარს მიაღწია, ასევე გაიზარდა მოგებისა და საშემოსავლო საგადასახადო შემოსავალთან მიმართებაშიც და მისი 0.7 პროცენტი შეადგინა, თუმცა მშპ-სთან თანაფარდობაში შემცირდა 0.06 პროცენტამდე. იგივე დანახარჯი მშპ-სთან შეფარდებით 2018-2021 წლებში შედარებით მდგრადია და მშპ-ს 0.05-0.07 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. საპროცენტო შემოსავალთან დაკავშირებული საგადასახადო დანახარჯების შეფასებისთვის ანგარიშში გამოყენებულია სხვადასხვა მიდგომა და თითოეული მიდგომისთვის ჩატარებულია სენსიტიურობის ანალიზი. შესაძლო მეთოდებიდან, საგადასახადო დანახარჯების რაოდენობრივი შეფასებისთვის შერჩეული მეთოდი არ ითვალისწინებს საპროცენტო განაკვეთის პარიტეტს (IRP)¹⁶ და გულისხმობს, რომ ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში არსებულ დეპოზიტებს განსხვავებული საპროცენტო განაკვეთები (და შესაბამისად, სხვადასხვა დონის რისკი) გააჩნიათ. ამასთან, დათვლილია თვის ბოლოდან

¹⁶ საპროცენტო განაკვეთის პარიტეტისას იგულისხმება, რომ ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში არსებული დეპოზიტების რისკიანობა არ განსხვავდება ერთმანეთისგან.

შემდგომი თვის 15 რიცხვამდე საშუალო ლარი/დოლარის გაცვლითი კურსით და მოდიფიცირებულია ვალუტების დეკომპოზიციით (GEL, USD, EUR და სხვა)¹⁷. მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის (მუხლი 86) საგადასახადო დანახარჯები 2021 წელს წინა წლებისგან უმნიშვნელო ცვლილების გამო იგივე მაჩვენებელზე - 0.39 პროცენტზე შენარჩუნდა მოგებისა და საშემოსავლო საგადასახადო შემოსავალთან პროცენტულად (ასევე მშპ-ს 0.03 პროცენტზე). აღსანიშნავია, რომ ეს საგადასახადო დანახარჯი 2019-2020 წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა, თავიდან მოგებისა და საშემოსავლო საგადასახადო შემოსავლების 1.3 პროცენტიდან 0.42 პროცენტამდე (მშპ-ს 0.04 პროცენტი), შემდგომ კი 0.39 პროცენტამდე (მშპ-ს 0.03 პროცენტი) 2019-2020 წლებში. 2019 წელს აღნიშნულმა ცვლილებამ გამოიწვია შეფასებული საშემოსავლო გადასახადის დანახარჯების შემცირებაც (გრაფიკი 9).

იურიდიული ფორმის მიხედვით შეფასებისას ჩანს, რომ ფიზიკური პირების წილი მოგებისა და საშემოსავლო საგადასახადო დანახარჯებში 2018-2020 წლებში 54 პროცენტიდან 67 პროცენტამდე გაიზარდა, თუმცა 2021 წელს 53 პროცენტამდე შემცირდა (გრაფიკი 10).

გრაფიკი 10. შეფასებული საშემოსავლო (PIT) საგადასახადო დანახარჯები იურიდიული ფორმის მიხედვით, 2018-2021



წყარო: შემოსავლების სამსახური, ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშება


IV.a.4 სხვა მოგებისა და საშემოსავლო გადასახადები

სხვა მოგებისა და საშემოსავლო გადასახადებიდან მიღებული მთლიანი შეფასებული საგადასახადო დანახარჯები მოიცავს აქტივების მთლიან ამორტიზაციას (და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე საწარმოებს, რომელიც განხილულია მე-5 დანართში). აღნიშნული საგადასახადო დანახარჯი 2021 წელს 4.4 მლნ ლარს (მშპ-ს 0.01 პროცენტი) შეადგენს. 2018 წლის შემდეგ, მთლიანი მოცულობა შემცირდა 9.2 მლნ ლარიდან ჯერ 7.4 მლნ-მდე, 2020 წელს კი 5.7 მლნ ლარამდე. აქტივების მთლიანი ამორტიზაციის საგადასახადო დანახარჯები ძირითადად ძველი მოგების გადასახადის რეჟიმიდან მოდიოდა 2018-2020 წლებში, მაშინ როცა 2021 წელს

¹⁷ იხილეთ დანართი 5.

საშემოსავლო გადასახადს და ძველი მოგების გადასახადს აქტივების მთლიან ამორტიზაციაში თანაბარი წვლილი გააჩნდა.

გრაფიკი 11. შეფასებული სხვა მოგებისა და საშემოსავლო საგადასახადო დანახარჯები - აქტივების ამორტიზაცია, 2018-2021



წყარო: შემოსავლების სამსახური და სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშება

IV.b დამატებული ღირებულების გადასახადის საგადასახადო დანახარჯები

დღგ-ს საგადასახადო დანახარჯები საქართველოსთვის შეფასებულია IMF-ის მიერ 2018-2020 წლებისთვის (Swistak et al., 2022). მოცემული ანგარიში იმეორებს აღნიშნულ შეფასებებს და ავრცელებს 2021 წელზე გარკვეული დამუშავების მიხედვით. დღგ არის ერთ-ერთი არაპირდაპირი გადასახადი, რაც ღვინდება საქონლისა და მომსახურების ფასზე ნამატის სახით და იხდის მომხმარებელი ამ გადასახადით გაზრდილი ფასით საქონლისა და მომსახურების შეძენისას¹⁸. დღგ-ს სტანდარტული განაკვეთი შეადგენს 18 პროცენტს. თუმცა, დასაბეგრი პროდუქტი/ტრანზაქცია შესაძლოა იყოს ჩათვლის უფლების გარეშე ან ჩათვლის უფლებით, რაც გვიჩვენებს, გადამხდელი გათავისუფლებულია დღგ-ს გადასახადისგან თუ 0 პროცენტით იბეგრება. აქედან გამომდინარე, გადასახადისგან გათავისუფლება და ნულოვანი დაბეგვრა შესაძლოა განიხილებოდეს, როგორც ბენჩმარკიდან გადახრა და შესაბამისად, მიიჩნეოდეს დღგ-ს საგადასახადო დანახარჯად.

ანგარიშში დღგ-ს საგადასახადო დანახარჯების რაოდენობრივი შეფასებისთვის გამოყენებულია „შემოსავლების დანაკარგის“ („revenue forgone“) მეთოდი, რაც გამოითვლება, როგორც სხვაობა პოტენციურ შემოსავალსა (როდესაც საგადასახადო დანახარჯები გაუქმებულია) და არსებული საგადასახადო სისტემისას მიღებულ შემოსავალს შორის. სხვა სიტყვებით ეს გულისხმობს, როგორ შეიცვლება შეფასებული საგადასახადო შემოსავლები საგადასახადო დანახარჯების არარსებობის შემთხვევაში. მეთოდოლოგია არ ითვალისწინებს

¹⁸ საქართველოს საგადასახადო კოდექსი.

გადასახადის გადამხდელთა ქცევასა და საგადასახადო ადმინისტრირებაში ცვლილებებს, რაც შესაძლოა საგადასახადო შეღავათის გაუქმებას მოჰყვეს.

აღნიშნულ დოკუმენტში შეფასებულია დღგ-ს არასტრუქტურული საგადასახადო დანახარჯები, ვინაიდან ისინი მიმართულია ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური პოლიტიკის მიზნებისკენ. დღგ-ს არასტრუქტურული საგადასახადო დანახარჯების რაოდენობრივი შეფასების პირველ მცდელობას ადგილი ჰქონდა 2020¹⁹ წელს და საგადასახადო დანახარჯების ანალიზის დოკუმენტი თან დაერთო 2021 წლის ბიუჯეტის კანონპროექტს. წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს 2018-2021 წლების განახლებული მონაცემების ანალიზს და მნიშვნელოვანია, რომ დაემატოს (შემდგომ ანგარიშებში) საგადასახადო დანახარჯების გადანაწილების (დისტრიბუციული) ასპექტები და უფრო დეტალური ანალიზი იმის შესახებ, საგადასახადო დანახარჯების თავდაპირველი მიზანი სრულდება თუ არა.

დღგ-ს საგადასახადო დანახარჯების რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვანია, თუ როგორ მივუდგებით არაფორმალურ სექტორს. ამ თავში არაფორმალური სექტორი არ არის გათვალისწინებული, თუმცა დანართად (იხ. დანართი 6) წარმოდგენილი დღგ-ს სენსიტიურობის ანალიზის დროს განხილულია რამდენიმე მიდგომა, სადაც ჩართულია არაფორმალური სექტორის შეფასებაც. დღგ-ს საგადასახადო დანახარჯების რაოდენობრივი შეფასების გაანგარიშებისთვის შესაძლოა სხვადასხვა დაშვების გამოყენება, მაგალითად არაფორმალური სექტორის არ ჩართვა დღგ-ს ბენჩმარკში, ან სრულად დაბეგვრადი არაფორმალური სექტორის ჩართვა ბენჩმარკში²⁰. როგორც ზემოთ არის აღნიშნული, დღგ შესაძლოა დაიბეგროს როგორც სტანდარტული 18 პროცენტით, ასევე იყოს სრულად გათავისუფლებული (ჩათვლის უფლების გარეშე) ან ნულოვანი დაბეგვრით (გათავისუფლებული ჩათვლის უფლებით). მოცემული ანგარიში ბენჩმარკს განსაზღვრავს, როგორც დაბეგვრის უნივერსალურ რეჟიმს, რაც ითვალისწინებს ყველა პროდუქტის 18 პროცენტიან დაბეგვრას. აღნიშნული დაბეგვრიდან გადახრა კი განისაზღვრება, როგორც საგადასახადო დანახარჯები.

წინამდებარე ანგარიშში დღგ-ს საგადასახადო დანახარჯების რაოდენობრივი ანალიზი აქცენტს აკეთებს რამდენიმე სექტორზე. აღნიშნული მოიცავს დაბეგვრისგან გათავისუფლებულ 5 სექტორს (ბავშვთა დაცვა, განათლება, აზარტული თამაშები, ჯანდაცვა, მსუბუქი ავტომობილები²¹) და ნულოვანი დაბეგვრის 2 სექტორს (სოფლის მეურნეობა, ფარმაცევტული). ამ სექტორების დანახარჯები დღგ-ს საგადასახადო დანახარჯების ანგარიშში მთლიანად შეფასებული დღგ-ს დანახარჯების უმეტესობას მოიცავს (2018-2021 წლებისთვის საშუალოდ 55 პროცენტი) (ცხრილი 4). ამავე დროს, მე-6 დანართში ნაჩვენებია სენსიტიურობის ანალიზისთვის, წარმოდგენილია ბენჩმარკიდან გადახრა ორ სხვადასხვა შემთხვევაში: როდესაც არაფორმალური სექტორი არ არის გათვალისწინებული ანალიზის პროცესში, ან როდესაც არაფორმალური სექტორი გათვალისწინებულია ბენჩმარკიდან გადახრის შეფასებისას და დაშვებულია, რომ იგი სრულად არის დაბეგვრადი. საგადასახადო დანახარჯების

¹⁹ ეყრდნობა Swistak et al. (2020)-ში წარმოდგენილ ანალიზს.

²⁰ იხ. დანართი 6.

²¹ ამ სექტორში VATE რაოდენობრივი შეფასება არ ითვალისწინებს, რომ დაბეგვრის მიზნებისათვის აღნიშნული დანახარჯის საპირისპიროდ მსუბუქი ავტომობილები იბეგრება აქციზის გადასახადით.

რაოდენობრივი ანალიზის დროს არ არის გათვალისწინებული არაფორმალური სექტორი და დაშვებულია, რომ არაფორმალური სექტორი დღგ-ს ბენჩმარკში არ შედის. რაც შეეხება მთლიან შეფასებულ დანახარჯებს, 2021 წლისთვის დღგ-ს შეფასებული დანახარჯები 2,464 მლნ ლარს (მშპ-ს 4.1 პროცენტს) შეადგენს, რაც ნაკლებია 2018-2020 წლის მაჩვენებელზე, პროცენტულად მშპ-სთან. რაც შეეხება წინა წლებს, დღგ-ს საგადასახადო დანახარჯები 2018 წელს მშპ-ს 4.5 პროცენტიდან 2019 წელს მშპ-ს 5.2 პროცენტამდე გაიზარდა (მშპ-ს შემცირებასთან ერთად), ხოლო 2020 წლისთვის ისევ შემცირდა (ცხრილი 4).

ცხრილი 4. შეფასებული დღგ-ს საგადასახადო დანახარჯები, 2018-2021

ცხრილი 4.ა. შეფასებული დღგ-ს საგადასახადო დანახარჯები, მლნ ლარი და %-ულად მშპ-სთან

NACE-2 კოდი	დაკავშირებული ცხრილ 2-თან	დებულება	საგადასახადო მიდგომა მიმდინარე კოდექსით წელი	მლნ ლარი				%ულად მშპ-სთან			
				2018	2019	2020	2021	2018	2019	2020	2021
A. გათავისუფლებული:											
88	3, 48	170.1 (ი), (თ)	ბავშვთა მოვლა	29.9	28.4	33.8	35.5	0.07	0.06	0.07	0.06
85	2, 5, 41	170.1 (ე) - (ზ), 171.1 (ი)	განათლება	303.0	351.9	275.9	295.3	0.68	0.71	0.56	0.49
92	34	171.1 (ბ)	აზარტული თამაშები	2.4	65.8	62.2	29.8	0.01	0.13	0.13	0.05
86	19, 20, 27, 37	173 (ა, ა.ა, ა.ბ, ა.გ), 170.1 (ა)-(გ)	ჯანდაცვა	327.6	379.6	287.4	304.6	0.73	0.77	0.58	0.51
29	9, 10, 26	173 (ზ), (ფ), (კ)	მსუბუქი ავტომობილები	46.5	51.6	64.3	56.7	0.10	0.10	0.13	0.09
B. ნულოვანი დაბეგვრა:											
01	52, 55	172.4 (ფ), (უ)	სოფლის მეურნეობა	258.6	325.0	276.8	309.6	0.58	0.66	0.56	0.52
21	61	172.4(ჯ)	ფარმაცევტული	191.9	235.3	258.0	240.9	0.43	0.48	0.52	0.40
			ჯამი (A + B)	1,159.9	1,437.6	1,258.3	1,272.4	2.60	2.92	2.55	2.12
	სხვა დანარჩენი	სხვა დანარჩენი დებულებები	C. სხვა სექტორები	848.1	1,100.7	1,026.9	1,192.1	1.90	2.23	2.08	1.99
			D. მთლიანი ჯამი (A + B + C)	2,008.0	2,538.4	2,285.2	2,464.5	4.50	5.15	4.64	4.11

ცხრილი 4.ბ. შეფასებული დღგ-ს საგადასახადო დანახარჯები, %-ულად საგადასახადო შემოსავლებთან და დღგ-ს შემოსავლებთან

NACE-2 კოდი	დაკავშირებული ცხრილ 2-თან	დებულება	საგადასახადო მიდგომა მიმდინარე კოდექსით წელი	%ულად საგადასახადო შემოსავლებთან				%ულად დღგ-ს შემოსავლებთან			
				2018	2019	2020	2021	2018	2019	2020	2021
A. გათავისუფლებული:											
88	3, 48	170.1 (ი), (თ)	ბავშვთა მოვლა	0.30	0.26	0.34	0.31	0.77	0.61	0.89	0.87
85	2, 5, 41	170.1 (ე) - (ზ), 171.1 (ი)	განათლება	3.03	3.26	2.78	2.58	7.76	7.61	7.27	7.20
92	34	171.1 (ბ)	აზარტული თამაშები	0.02	0.61	0.63	0.26	0.06	1.42	1.64	0.73
86	19, 20, 27, 37	173 (ა, ა.ა, ა.ბ, ა.გ), 170.1 (ა)-(გ)	ჯანდაცვა	3.28	3.51	2.90	2.66	8.39	8.21	7.57	7.43
29	9, 10, 26	173 (ზ), (ფ), (კ)	მსუბუქი ავტომობილები	0.47	0.48	0.65	0.49	1.19	1.12	1.69	1.38
B. ნულოვანი დაბეგვრა:											
01	52, 55	172.4 (ფ), (უ)	სოფლის მეურნეობა	2.59	3.01	2.79	2.70	6.62	7.03	7.29	7.55
21	61	172.4(ჯ)	ფარმაცევტული	1.92	2.18	2.60	2.10	4.91	5.09	6.80	5.88
			ჯამი (A + B)	11.62	13.31	12.68	11.11	29.70	31.09	33.14	31.04
	სხვა დანარჩენი	სხვა დანარჩენი დებულებები	C. სხვა სექტორები	8.49	10.19	10.35	10.41	21.71	23.80	27.04	29.08
			D. მთლიანი ჯამი (A + B + C)	20.11	23.50	23.03	21.52	51.41	54.89	60.18	60.12


წყარო: შემოსავლების სამსახური და სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშება

შენიშვნა: დღგ-ს საგადასახადო დანახარჯები (VATE) არ ითვალისწინებს არაფორმალურ სექტორს ბენჩმარკში. სექტორული დღგ-ს დანახარჯები გაანგარიშებულია ინდივიდუალურად (სხვა თანაბარ პირობებში), ამიტომ მათი ჯამი შესაძლოა არ იყოს მთლიანი დღგ-ს საგადასახადო დანახარჯების ტოლი, კონკრეტულ წელს

შეფასებული საგადასახადო დანახარჯები დღგ-სთვის ძირითადად კონცენტრირებულია რამდენიმე სექტორში: ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა, განათლება და ფარმაცევტული. დღგ-ს საგადასახადო დანახარჯების რაოდენობრივი შეფასება აჩვენებს, რომ აღნიშნულმა სექტორებმა 2018-2021 წლებში დღგ-ს დანახარჯების დაახლოებით ნახევარი შეადგინა. ყველაზე დიდი წვლილი სოფლის მეურნეობამ შეიტანა 310 მლნ ლარით (2021 წლის მშპ-ს 0.52 პროცენტი), ჯანდაცვასა და განათლებაში დღგ-ს საგადასახადო დანახარჯები მშპ-ს 0.51

პროცენტი და 0.49 პროცენტი დაფიქსირდა, შესაბამისად, ხოლო ფარმაცევტულ სექტორში აღნიშნულმა მაჩვენებელმა მშპ-ს 0.4 პროცენტი შეადგინა.

გრაფიკი 12. შეფასებული დღგ-ს საგადასახადო დანახარჯები შერჩეული სექტორებისთვის, 2018-2021



წყარო: შემოსავლების სამსახური და სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშება

შენიშვნა: დღგ-ს საგადასახადო დანახარჯები(VATE) არ ითვალისწინებს არაფორმალურ სექტორს ბენჩმარკში. სექტორული დღგ-ს დანახარჯები გაანგარიშებულია ინდივიდუალურად (სხვა თანაბარ პირობებში), ამიტომ მათი ჯამი შესაძლოა არ იყოს მთლიანი დღგ-ს საგადასახადო დანახარჯების ტოლი, კონკრეტულ წელს

სექტორების მიხედვით შეფასებული დღგ-ს საგადასახადო დანახარჯები 2018-2021 წლისთვის აჩვენებს, რომ ჯანდაცვამ მშპ-ს 0.73 პროცენტი (328 მლნ ლარი) და 0.77 პროცენტი (380 მლნ ლარი) შეადგინა 2018 და 2019 წლებში, ხოლო 2020 წლისთვის შემცირდა 0.58 პროცენტამდე (287 მლნ ლარი) და 0.52 პროცენტამდე (305 მლნ ლარი) - 2021 წელს. დღგ-ს საგადასახადო დანახარჯები 2021 წლისთვის თითოეულ სექტორში შემცირდა პროცენტულად მშპ-სთან, თუმცა გაიზარდა ნომინალურ დონეებში როგორც ჯანდაცვის, ასევე სოფლის მეურნეობისა და განათლების სექტორებში. მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა აზარტული თამაშების სექტორის დღგ-ს საგადასახადო დანახარჯებში 2018 წლიდან, როდესაც აღნიშნული მაჩვენებელი 2018 წლის 2 მლნ ლარიდან 66 მლნ ლარამდე გაიზარდა 2019 წელს, ხოლო 2020 წელს 62 მლნ ლარს მიაღწია (მშპ-ს 0.01 პროცენტიდან 0.13 პროცენტამდე 2018-2020 წლებში). თუმცა, 2021 წლისთვის დღგ-ს საგადასახადო დანახარჯები აზარტული თამაშების სექტორში შემცირდა 30 მლნ ლარამდე (მშპ-ს 0.05 პროცენტი) (გრაფიკი 12).

თავი V. დასკვნა

საგადასახადო დანახარჯები განსაზღვრულია, როგორც გადახრა საბაზისო საგადასახადო სისტემიდან და ხშირ შემთხვევაში, მათ შედეგად სახელმწიფო კარგავს შემოსავლებს. ბენჩმარკული საგადასახადო სისტემა გამომდინარეობს საბაზისო (საორიენტაციო) საგადასახადო სისტემის იდეიდან, რომლის მიმართაც დგინდება საგადასახადო დანახარჯების (TE) არსებობა. ბენჩმარკის საგადასახადო სისტემის განსაზღვრისთვის საქართველოში გამოიყენება „ლეგალური“ მიდგომა, რაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიერ აღიარებულ მოდელებსა და პრინციპებს ეფუძნება.

საგადასახადო კოდექსზე დაყრდნობით იდენტიფიცირებული და შეფასებულია მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების 52 და დღგ-ს 66 საგადასახადო დანახარჯი.

ვინაიდან გადასახადებისგან გათავისუფლებისა და შეღავათების მიზანი არის სოციალური მიზნის მიღწევა და ბიზნესის მხარდაჭერა, ძალიან მნიშვნელოვანია ამ შეღავათებიდან გამომდინარე საგადასახადო დანახარჯების ანალიზი. სწორედ ამიტომ, ამ ანალიზის პირველი ნაბიჯია საგადასახადო დანახარჯების რაოდენობრივი შეფასება. მისი მიზანია საგადასახადო დანახარჯების შეფასება დამატებული ღირებულების გადასახადის, საშემოსავლო გადასახადისა და მოგების გადასახადისთვის, 2018 წლიდან დღემდე, მისი ტენდენციებისა და კონტრიბუტორების ანალიზის ჩათვლით. მიუხედავად იმისა, რომ დღგ-ს, საშემოსავლო და მოგების გადასახადის საგადასახადო დანახარჯების რაოდენობრივი შეფასება განხორციელდა 2018-2020 წლებისთვის საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და USAID-ის მიერ, ამ ანგარიშში წარმოდგენილი ზოგიერთი შედეგი მათი წინა შეფასებებისგან განსხვავებულია, განახლებული მონაცემებისა და გარკვეული სახის მეთოდოლოგიური ცვლილების გამო. დოკუმენტი მოიცავს 2018-2021 წლების მონაცემების რაოდენობრივ შეფასებას. მონაცემების სიმცირის გამო (მაგ: დღგ-ს საგადასახადო დანახარჯები 2021 წლისთვის) ანგარიშს გააჩნია გარკვეული შეზღუდვები, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს რაოდენობრივი შეფასების სიზუსტეს.

საგადასახადო დანახარჯების რაოდენობრივი ანალიზისას შეფასებულია დღგ-ს, მოგებისა და საშემოსავლო დანახარჯები. მოგების დანახარჯები თავის მხრივ იყოფა: ძველი მოგების გადასახადი (Old CIT) და განაწილებული მოგების გადასახადი (ესტონური მოდელი) (DPT), ასევე შეფასებულია სხვა მოგებისა და საშემოსავლო გადასახადები (მაგ: აქტივების ამორტიზაცია, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე საწარმოები). ანგარიშში გამოყენებულია „შემოსავლების დანაკარგის“ (“revenue forgone”) მეთოდი იმ დაშვებით, რომ გადასახადის გადამხდელების ქცევასა და საგადასახადო ადმინისტრირებაში არ არის მოსალოდნელი ცვლილებები საგადასახადო დანახარჯების გაუქმების შემთხვევაში.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს სენსიტიურობის ანალიზს შერჩეული მოგების, საშემოსავლო და დღგ-ს საგადასახადო დანახარჯებისთვის. სენსიტიურობის ანალიზიდან შერჩეული შეფასებები, რაც ანგარიშშია გამოყენებული, მოიცავს შემდეგს:

- საპროცენტო შემოსავლის საგადასახადო დანახარჯის შეფასებისას არ არის გათვალისწინებული საპროცენტო პარიტეტი, კორექტირებულია გადასახადის გადახდის პერიოდითა და ვალუტების დეკომპოზიციით.
- მცირე ბიზნესის საგადასახადო დანახარჯის შეფასებისას გამოყენებულია დაშვება 6.22 პროცენტიანი მოგების მარჟის შესახებ.
- დღგ-ს საგადასახადო დანახარჯების შეფასებისას არ არის გათვალისწინებული არაფორმალური სექტორი.

სულ შეფასებული საგადასახადო დანახარჯები 2021 წელს 2,759 მლნ ლარი (მშპ-ს 4.6 პროცენტი) იყო: ნაკლებია 2019 წლის მაჩვენებელზე (2,818 მლნ ლარი ანუ მშპ-ს 5.7 პროცენტი), თუმცა მცირედით აღემატება 2020 წლის დონეს (2,556 მლნ ლარი ანუ მშპ-ს 5.2 პროცენტი) მხოლოდ ნომინალურ გამოსახულებაში. 2021 წლის მთლიანი საგადასახადო დანახარჯებიდან დღგ-ს საგადასახადო დანახარჯებზე მოდის მშპ-ს 4.1 პროცენტი (დაახლოებით 90 პროცენტი), ხოლო მოგებისა და საშემოსავლო საგადასახადო დანახარჯებზე - მშპ-ს 0.5 პროცენტი (დარჩენილი 10 პროცენტი). შეფასებული ძველი მოგების გადასახადისა და განაწილებული მოგების გადასახადის საგადასახადო დანახარჯები 2018 წლიდან მშპ-სთან მიმართებით დაახლოებით ოთხჯერ შემცირდა და 2021 წლისთვის მშპ-ს 0.1 პროცენტი შეადგინა, ხოლო სულ შეფასებული საშემოსავლო საგადასახადო დანახარჯები მცირედით შემცირდა მშპ-ს 0.42 პროცენტიდან (2018 წელს) 0.37 პროცენტამდე (2021 წელს).

როგორც ზემოთ აღინიშნა, ფინანსთა სამინისტროს მიერ საგადასახადო დანახარჯების რაოდენობრივი შეფასება პირველად განხორციელდა 2020 წელს და თან დაერთო 2021 წლის ბიუჯეტის კანონს. თუმცა, დოკუმენტში გაანალიზებული იყო მხოლოდ დღგ-ს საგადასახადო დანახარჯები. შესაბამისად, წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს საგადასახადო დანახარჯების რაოდენობრივი შეფასების გაუმჯობესებას და მოიცავს არა მხოლოდ დღგ-ს, არამედ - მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების საგადასახადო დანახარჯებსაც. ფინანსთა სამინისტროს შემდგომი სამუშაოები ორიენტირებული იქნება შემდგომი წლებისთვის საგადასახადო დანახარჯების რაოდენობრივი შეფასების განახლებაზე, სხვა საგადასახადო დანახარჯების ანალიზის დამატებასა და საგადასახადო დანახარჯების დისტრიბუციული და სოციალურ-ეკონომიკური გავლენების ანალიზზე.

დანართი 1. საგადასახადო დანახარჯების კლასიფიკაცია

ბენჩმარკი. ბენჩმარკი არის საბაზისო (საორიენტაციო) საგადასახადო სისტემა საგადასახადო დანახარჯების შეფასების მიზნებისთვის. ბენჩმარკის განხილვა შემოსავალზე გადასახადებისა (თავი II.a) და დღგ-ს (თავი II.b) დანახარჯებისთვის იხილეთ II თავში.

სტრუქტურული. სტრუქტურული არის ისეთი ღონისძიება, რომლის მთავარი მიზანი საგადასახადო სისტემისთვის ორგანულია (შინაგანია). სტრუქტურული ღონისძიებების დანერგვა ხორციელდება საგადასახადო სისტემის სიმარტივის ხარისხის გასაუმჯობესებლად (გასამარტივებლად) ან საგადასახადო სისტემის უფრო ეფექტიანი ადმინისტრირების ხელშეწყობად. სტრუქტურული საგადასახადო დანახარჯების მაგალითებს განეკუთვნება დღგ-ს რეგისტრაციის სავალდებულო ზღვარი, მომსახურების მარჯაზე დაფუძნებული შიდა ფინანსური შუამავლობის გათავისუფლება და უცხოელი დიპლომატების მიერ იმპორტირებული საქონლის გათავისუფლება (დღგ).

არასტრუქტურული. არასტრუქტურული ღონისძიებების დანერგვა ხორციელდება ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური პოლიტიკის მიზნების მისაღწევად, მათ შორისაა საოჯახო მეურნეობებისა და კომპანიებისთვის შეღავათების მინიჭება, ჯანმრთელობისა და განათლების, საცხოვრებლისა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების გათავისუფლება დღგ-სგან, შემოსავლების გარკვეული სახეობების გათავისუფლება საშემოსავლო გადასახადისგან ან შემცირებული განაკვეთებით დაბეგრვა და გარკვეული არასაოპერაციო ხარჯების გამოქვითვა. არასტრუქტურული საგადასახადო დანახარჯები იწვევს შემოსავლების დაკარგვას, მაგრამ ხშირად მათი ჩანაცვლება შესაძლებელია ბიუჯეტიდან პირდაპირი მიზნობრივი ხარჯების საშუალებით. ამიტომაც ამ კატეგორიის დანახარჯებში შესაძლებელია შესაფასებელი და გასაუმჯობესებელი „კანდიდატების“ პოვნა.

ტექნიკური. ტექნიკურ ღონისძიებებს სიცხადე შეაქვს საბაზისო საგადასახადო სისტემაში და ისინი შეიძლება მოიცავდეს გათავისუფლებებს, რომლებიც ორგანულია ამხანაგობებისთვის, კაპიტალის ან ინვესტიციების ტრანზაქციებისთვის ან ღონისძიებისთვის. მათი არსებობა შეიძლება გამოვლინდეს საგადასახადო დანახარჯების განსაზღვრის ლეგალური მიდგომიდან. პრინციპში, ისინი არ იწვევს შემოსავლების დაკარგვას.

აღწერა: ელექტრონული მატარებლების (დისკების) საშუალებით სალექციო კურსების მიწოდება, რომლებიც საგანმანათლებლო ხასიათისაა და შეიძლება წიგნის ფორმითაც გამოიცეს;
ამოქმედების თარიღი: [01.01.2011]
მიზანი: საგანმანათლებლო მასალებზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა
ბენეფიციარ(ებ)ი: ასეთი მომსახურების მომხმარებლები

საიდენტიფიკაციო N 42

აღწერა: ორგანიზაციის მიერ მისი საქმიანობის მიზნიდან გამომდინარე, საკუთარი წევრებისთვის დადგენილი საწევროების სანაცვლოდ მომსახურების გაწევა და მასთან უშუალოდ დაკავშირებული საქონლის მიწოდება;
ამოქმედების თარიღი: [01.01.2021]
მიზანი: ორგანიზაციის საწევროების არ დაბევრა
ბენეფიციარ(ებ)ი: ორგანიზაციის წევრები

საიდენტიფიკაციო N 43

აღწერა: ორგანიზაციის მიერ მომსახურების გაწევა/საქონლის მიწოდება მხოლოდ საკუთარი საქმიანობის მიზნით სახსრების მოზიდვისთვის ორგანიზებული ღონისძიებების ფარგლებში;

ამოქმედების თარიღი: [01.01.2021]

მიზანი: ფულადი სახსრების მოზიდვასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირება

ბენეფიციარ(ებ)ი: არასამეწარმეო ორგანიზაციები

საიდენტიფიკაციო N 44

აღწერა: კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სარესტავრაციო, სარეაბილიტაციო, საპროექტო და კვლევითი სამუშაოების შესრულება;

ამოქმედების თარიღი: [06.08.2008; 07.08.1997 ტაძრების რესტავრაციის შემთხვევაში]

მიზანი: ადმინისტრირების გამარტივება დღგ-ს გადახდის ვალდებულების გაუქმების გზით

ბენეფიციარ(ებ)ი: სახელმწიფო

საიდენტიფიკაციო N 45

აღწერა: სეს ესნ 4901, 4902 და 4904 00 000 00 კოდებით გათვალისწინებული საქონლის (ჟურნალების, გაზეთების, ნოტების) რეალიზაციის მომსახურების, ბუქდვის მომსახურების ან/და ჟურნალ-გაზეთების მიერ სარეკლამო მომსახურების გაწევა

ამოქმედების თარიღი: [07.08.1997]

მიზანი: ბეჭდური მედიის წახალისება

ბენეფიციარ(ებ)ი: ბეჭდური მედიის მკითხველები და გამომცემლები

საიდენტიფიკაციო N 46

აღწერა: რეგულირებადი ფასებითა და ტარიფებით საქალაქო და შიგარაიონულ მარშრუტებზე სამგზავრო ტრანსპორტით (გარდა ტაქსისა) მომსახურების გაწევა;

ამოქმედების თარიღი: [07.08.1997]

მიზანი: საზოგადოებრივი და საქალაქთაშორისო ტრანსპორტის წახალისების სოციალური პოლიტიკა

ბენეფიციარ(ებ)ი: მგზავრები, რომლებიც იყენებენ აღნიშნულ სერვისს

საიდენტიფიკაციო N 47

აღწერა: მომსახურების გაწევა ხელშეკრულების საფუძველზე, რომელსაც სტიქიური უბედურების, ავარიისა და კატასტროფის ლიკვიდაციისთვის, ჰუმანიტარული დახმარების მიზნით აფინანსებს უცხოური ორგანიზაცია და რომლის მონაწილე მხარეა საქართველოს ადმინისტრაციული ხელისუფლების შესაბამისი ორგანო

ამოქმედების თარიღი: [01.01.2011]

მიზანი: იმისათვის რომ არ მოხდეს უცხო ქვეყნების მიერ დაფინანსებული სხვადასხვა ტიპის ჰუმანიტარული პროექტების თანხებით დღგ-ს გადახდა

ბენეფიციარ(ებ)ი: სახელმწიფო

საიდენტიფიკაციო N 48

აღწერა: საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული მოსახლეობის სოციალურ უზრუნველყოფასთან, მათ შორის, საადმინისტრაციო დაწესებულებებში ან/და ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ბავშვთა მოვლა-პატრონობის მომსახურების გაწევა ან/და ავადმყოფთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, 60 წელზე მეტი ასაკის პირთა მოვლა-პატრონობის მომსახურების გაწევა და მოხუცებულთა თავშესაფრისთვის საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა

ამოქმედების თარიღი: [01.01.2005]

მიზანი: სოციალური პოლიტიკის წახალისება

ბენეფიციარ(ებ)ი: ოჯახები

საიდენტიფიკაციო N: 49

აღწერა: სეს ესნ-ის 8702 90 90 კოდში მითითებული ელექტროძრავიანი ავტობუსის (მათ შორის, ელექტროძრავიანი მიკროავტობუსის) მიწოდება;

ამოქმედების თარიღი: [12.12.2018]

მიზანი: მწვანე (გარემოსდაცვითი) პოლიტიკა

ბენეფიციარ(ებ)ი: იმპორტიორი ბიზნესები

საიდენტიფიკაციო N 50

აღწერა: სეს ესნ-ის 4901 და 4903 00 000 00 კოდებით გათვალისწინებული საქონლის (წიგნის) ან ელექტრონული წიგნის მიწოდება, აგრეთვე ამ საქონლის რეალიზაციისა და ბეჭდვის მომსახურებების გაწევა

ამოქმედების თარიღი: [30.12.2004]

მიზანი: წერა-კითხვის, ცოდნის შექმნისა და განვითარების წახალისება

ბენეფიციარ(ებ)ი: ოჯახები

საიდენტიფიკაციო N 51.

აღწერა: საქართველოს საპატრიარქოს მიერ ჯვრის, სანთლის, ხატის, წიგნის, კალენდრისა და სხვა საღვთისმსახურო საგნის მიწოდება, რომლებიც მხოლოდ რელიგიური მიზნით გამოიყენება

ამოქმედების თარიღი: [07.08.1997]

მიზანი: რწმენის წახალისება

ბენეფიციარ(ებ)ი: ასეთი საქონლის მომხმარებლები

საიდენტიფიკაციო N 52

აღწერა: საქართველოში მთლიანად წარმოებული საქონლისაგან მიღებული სეს ესნ-ის 0201, 0203 11–0203 19, 0204 10 000 00–0204 23 000 00, 0204 50 110 00–0204 50 390 00 კოდებით გათვალისწინებული საქონლის (მათ შორის, გატარებული/დაკეპილი ფორმით არსებულის (ფარშის)), საქართველოს ბინადარი ცხოველისგან მიღებული პროდუქტის სამრეწველო გადამუშავების შედეგად წარმოებული ყველის, აგრეთვე სეს ესნ-ის 0802 22 000 00 კოდით გათვალისწინებული საქონლის (ნაჭუჭყაცლილი თხილი) მიწოდება;

ამოქმედების თარიღი: [19.03.2012]

მიზანი: სოფლის მეურნეობის წახალისება

ბენეფიციარ(ებ)ი: ფერმერები

საიდენტიფიკაციო N 53

აღწერა: მიწის ნაკვეთის მიწოდება

ამოქმედების თარიღი: [07.08.1997]

მიზანი: [მიწის პრივატიზაციის წახალისება]

ბენეფიციარ(ებ)ი: [მიწის ახლანდელი/პოტენციური მფლობელები]

საიდენტიფიკაციო N 54

აღწერა: ფიზიკური პირისთვის მიწის ნაკვეთის და მასზე დამაგრებული საცხოვრებელი ბინის/სახლის მიწოდება, თუ მიმწოდებელი ამ ქონებას აწვდის იმ ფიზიკურ პირს ან იმ ფიზიკური პირის პირველი რიგის მემკვიდრეს

ამოქმედების თარიღი: [17.06.2016]

მიზანი: სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ფარგლებში სამემკვიდრეო ქონების (სახლის) მემკვიდრეობით გადაცემისას გადასახადით არ დაბეგრვა

ბენეფიციარ(ებ)ი: აპარტამენტების მუდმივად ან ქირით მაცხოვრებლები

საიდენტიფიკაციო N 55

აღწერა: საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის (გარდა სეს ესნ-ის 0407 11 000 00 და 0407 21 000 00 კოდებით გათვალისწინებული საქონლისა (კვერცხისა) და 0207 11 სუბპოზიციაში მითითებული საქონლისა (შინაური ქათამი აუქნელი, ახალი ან გაცივებული) მიწოდება მის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე)

ამოქმედების თარიღი: [19.03.2012]

მიზანი: სოფლის მეურნეობის წახალისება

ბენეფიციარ(ებ)ი: ფერმერები

საიდენტიფიკაციო N 56

აღწერა : შავი ან/და ფერადი ლითონების ჯართის და შავი ან/და ფერადი ლითონების ნარჩენების მიწოდება, თუ შესაძლებელია საქონლის მიმღები მხარის იდენტიფიცირება.

ამოქმედების თარიღი: [13.07.2017]

მიზანი: ჯართის მოგროვების წახალისება

ბენეფიციარ(ებ)ი: ჯართის შემსყიდველები

საიდენტიფიკაციო N 57

აღწერა: თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში საქართველოს საქონლის მიწოდება რეალიზაციისთვის და ამ პუნქტში საქონლის რეალიზაცია ან/და კვების მომსახურების გაწევა

ამოქმედების თარიღი: [11.07.2007]

მიზანი: ტურიზმისა და ექსპორტის ხელშეწყობა

ბენეფიციარ(ებ)ი: ტურისტები

საიდენტიფიკაციო N 58

აღწერა: სეს ესნ-ის 4820 20 000 00 კოდში მითითებული საქონლის (რვეულები) მიწოდება

ამოქმედების თარიღი: [07.08.1997]

მიზანი: განათლების წახალისება

ბენეფიციარ(ებ)ი: აღნიშნული საქონლის მომხმარებლები

საიდენტიფიკაციო N59

აღწერა: „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოებისთვის განკუთვნილი მოწყობილობა-დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებების, სათადარიგო ნაწილებისა და მასალების, აგრეთვე ზემოაღნიშნული კანონით განსაზღვრული ხელშეკრულებების ან/და ნავთობისა და გაზის ოპერაციების საწარმოებლად გაცემული ლიცენზიების შესაბამისად ინვესტირებისა და საოპერაციო კომპანიებისთვის ნავთობისა და გაზის ოპერაციების განსახორციელებლად საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა;

ამოქმედების თარიღი: [28.07.2002]

მიზანი: ნავთობისა და გაზის სექტორის წახალისება საქართველოში

ბენეფიციარ(ებ)ი: ნავთობისა და გაზის ბიზნესები საქართველოში

საიდენტიფიკაციო N 60

აღწერა: სპეციალური საწარმოს სტატუსის მქონე პირის მიერ საქონლის საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიწოდება

ამოქმედების თარიღი: [01.01.2019]

მიზანი: ეკონომიკური კავშირების ხელშეწყობა ოკუპირებულ ტერიტორიებსა და საქართველოს სხვა რეგიონებს შორის. ასევე, ოკუპირებული ტერიტორიებიდან საქართველოში საქონლის რეალიზაციის ხელშეწყობა

ბენეფიციარ(ებ)ი: სპეციალური საწარმოს სტატუსის მქონე პირები

საიდენტიფიკაციო N 61

აღწერა: საქართველოში წარმოებული სამკურნალო/სამედიცინო მიზნისთვის განკუთვნილი საქონლის ან ფარმაცევტული საწარმოს მიერ, მისივე წარმოებული ფარმაცევტული პროდუქციის მიწოდება

ამოქმედების თარიღი: [04.07.2019]

მიზანი: შიდა წარმოების წახალისება

ბენეფიციარ(ებ)ი: ადგილობრივი მწარმოებლები

საიდენტიფიკაციო N 62

აღწერა: სსკ-ის 173-ე მუხლის „ა“-„ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქონლის (საქონელი, რომელთა იმპორტი გათავისუფლებულია დღგ-სგან) მიწოდება

ამოქმედების თარიღი: [შესაბამისი საქონლის იმპორტის შეღავათის ძალაში შესვლის თარიღი]

მიზანი: ჯანდაცვისა და ფარმაცევტული სექტორის წახალისების სოციალური პოლიტიკა

ბენეფიციარ(ებ)ი: ასეთი საქონლის ადგილობრივი დისტრიბუტორები

საიდენტიფიკაციო N 63

აღწერა: სახელმწიფო ქონების მიწოდება პრივატიზაციის პროგრამის მიხედვით

ამოქმედების თარიღი: [07.08.1997]

მიზანი: ინვესტიციების წახალისება

ბენეფიციარ(ებ)ი: ინვესტორები

საიდენტიფიკაციო N 64

აღწერა: მუნიციპალიტეტისთვის დასახლებულ ტერიტორიაზე დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების გაწევა;

ამოქმედების თარიღი: [01.06.2011]

მიზანი: მომსახურების ხარჯების შემცირება

ბენეფიციარ(ებ)ი: საფასურის გადამხდელი მაცხოვრებლები

საიდენტიფიკაციო N 65

აღწერა: სატრანსპორტო გადაზიდვისას გამოყენებული ცარიელი სატრანსპორტო საშუალებების (მათ შორის, კონტეინერებისა და ვაგონების) მიმართ გაწეული სატრანსპორტო, დატვირთვის, გადმოტვირთვისა და შენახვის მომსახურების გაწევა;

ამოქმედების თარიღი: [01.01.2011]

მიზანი: საერთაშორისო ვაჭრობის წახალისება

ბენეფიციარ(ებ)ი: საერთაშორისო გადაზიდვის ოპერატორები

საიდენტიფიკაციო N 66

აღწერა: სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული უნივერსალური საფოსტო მომსახურება

ამოქმედების თარიღი: [01.01.2021]

მიზანი: მომხმარებლისთვის მომსახურების ხარჯის შემცირება

ბენეფიციარ(ებ)ი: საფოსტო მომსახურების მომხმარებლები

დანართი 5: მოგების და საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო დანახარჯების შეფასების მეთოდები და მონაცემები, სენსიტიურობის ანალიზი

5.a მონაცემები და მეთოდოლოგია²²

5.a.i ძველი მოგების გადასახადის (Old CIT) საგადასახადო დანახარჯი

ძველი მოგების გადასახადისთვის საგადასახადო დანახარჯის შეფასება პირდაპირ არის შესაძლებელი, რადგან ის პირდაპირ ხელმისაწვდომია შემოსავლების სამსახურის მონაცემებში. ძველი მოგების საგადასახადო დანახარჯი გამოითვლება, როგორც გადასახადისგან გათავისუფლებული მთლიანი მოგება გამრავლებული მოგების გადასახადზე, რაც 15 პროცენტს შეადგენს.

შემოსავლების სამსახურის მიერ მოწოდებული მონაცემები საშუალებას იძლევა, რომ საგადასახადო დანახარჯები სექტორებისთვის წარმოდგენილი იყოს NACE-2 კოდეზად, საწარმოს ზომისა და მოქმედი ეკონომიკური რეჟიმების მიხედვით.

5.a.ii საგადასახადო დანახარჯები განაწილებული მოგების გადასახადიდან (ესტონური მოდელი) (DPT)

იმისათვის, რომ შეფასდეს განაწილებული მოგების გადასახადის (ესტონური მოდელის) (DPT) საგადასახადო დანახარჯები, საჭიროა განაწილებული მოგებისა და გაცემული დივიდენდების საგადასახადო დანახარჯების დაჯამება. მონაცემები „**განაწილებული მოგება, რომელიც გათავისუფლებულია მოგების გადასახადიდან**“ (DPCIP)-ის შესახებ მიღებულია შემოსავლების სამსახურის მეშვეობით. აქედან, დივიდენდების საგადასახადო დანახარჯის დათვლა პირდაპირ არის შესაძლებელი, რისთვისაც საჭიროა DPCIP-ის გამრავლება დივიდენდების საგადასახადო განაკვეთზე (d), ვინაიდან DPCIP მიღებულია მოგების გადასახადის გადახდის შემდგომ. თუმცა, მოგების გადასახადის საგადასახადო დანახარჯების შეფასებისთვის, პირველად საჭიროა, რომ DPCIP აღდგეს თავდაპირველ რიცხვზე (აგროსვა - gross up) (იხ. ფორმულები), რის შედეგადაც ვიღებთ DPT-ის მოგების გადასახადის საგადასახადო დანახარჯის ნაწილს.

$$DPCIP = \text{მთლიანი მოგება} - \text{მთლიანი მოგება} * \text{გადასახადის განაკვეთი}(p)$$

$$\text{მთლიანი DPT ITE} = \frac{DPCIP}{100\% - \text{გადასახადის განაკვეთი}(p)} * \text{გადასახადის განაკვეთი}(p) + DPCIP * \text{გადასახადის განაკვეთი}(d)$$

²² ეს თავი ეყრდნობა Swistak et al. (2022) და ითვალისწინებს Gendron and Mylonas (2022)-ის ფარგლებში მიღებულ რეკომენდაციებს.

მონაცემები DPCIP-ის შესახებ აღებულია საქართველოს შემოსავლების სამსახურიდან (Cell 22), მოგების გადასახადი უდრის 15 პროცენტს, ხოლო დივიდენდების გადასახადი 5 პროცენტს შეადგენს. შემოსავლების სამსახურის მიერ მოწოდებული მონაცემები საშუალებას იძლევა, რომ DPT-ის საგადასახადო დანახარჯები წარმოდგენილი იყოს NACE-2 სექტორებად, საწარმოს ზომისა და მოქმედი ეკონომიკური რეჟიმების მიხედვით.

5.a.iii საგადასახადო დანახარჯები საშემოსავლო გადასახადიდან (PIT)

მოცემული ანგარიშისთვის დათვლილია საშემოსავლო გადასახადის (PIT) საგადასახადო დანახარჯები შემდეგი პუნქტებისთვის (ასევე საპროცენტო შემოსავლის საგადასახადო დანახარჯისთვის, რაც ქვევითაა აღწერილი):

- შემოსავალი აქტივის გაყიდვიდან ან გაქირავებიდან:
 - აქტივის გაყიდვა
 - აქტივის გაქირავება
- მუხლი 82, ნაწილი 1 (სხვადასხვა)
- მუხლი 82, ნაწილი 2 (სხვადასხვა)
- შემოსავალი სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებული აზარტული თამაშებიდან
- მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი

მოცემული ანგარიში ასევე აფასებს მემორანდუმის მუხლებს (რეზიდენტების მიერ მიღებული შემოსავალი საზღვარგარეთ), რომელიც არ მიიჩნევა საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო დანახარჯად, რადგან ის ექვემდებარება ტერიტორიულ პრინციპებს (Swistak et al., 2022). შესაბამისად, საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო დანახარჯების დათვლისას, აღნიშნული მუხლები არ გაითვალისწინება.

მუხლი 82.1 (სხვადასხვა), მუხლი 82.2 (სხვადასხვა) და მემორანდუმი: რეზიდენტების შემოსავალი უცხოეთიდან - საგადასახადო დანახარჯები დათვლილია როგორც მთლიანი გათავისუფლებული შემოსავლების ნამრავლი საშემოსავლო გადასახადზე, რაც 20 პროცენტს შეადგენს.

რაც შეეხება **შემოსავალს სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებული აზარტული თამაშებიდან**, პირის მიერ აღნიშნული მუხლიდან მიღებული მთლიანი შემოსავლები (GIR), რაც 5 პროცენტის განაკვეთით იბეგრება, უნდა გამრავლეს საშემოსავლო გადასახადის განაკვეთზე. ამის შემდეგ კი მიღებულ შედეგს უნდა გამოაკლდეს GIR-სა და გამოქვითვას დაქვემდებარებული, გადახდის წყაროსთან დაკავებული შემოსავლის სხვაობის 5 პროცენტის განაკვეთზე გადანდობილი გადასახადები.

მსგავსი მიდგომა გამოყენებული *მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის* შემთხვევაში, თავდაპირველად სპეციალური საგადასახადო რეჟიმის ქვეშ მყოფი ფიზიკური პირის მთლიანი შემოსავალი (სვეტი 2, დანართი A) გამრავლებულია საშემოსავლო გადასახადის განაკვეთზე, შემდეგ კი მიღებულ შედეგს აკლდება სპეციფიკური განაკვეთით გადახდილი გადასახადები (სვეტი 1, დანართი A) (შედეგად, საგადასახადო დანახარჯები ფიზიკური პირის მიერ უკვე გადახდილსა და გათავისუფლებულ შემოსავალს შორის სხვაობის ტოლია).

საგადასახადო დანახარჯები **აქტივის გაყიდვიდან ან გაქირავებიდან მიღებული შემოსავლისთვის** გამოითვლება მსგავსი მეთოდით. პირველ ეტაპზე მთლიანი დაბეგრადი შემოსავალი (სვეტი 4, დანართი B) მრავლდება საშემოსავლო გადასახადის განაკვეთზე, შემდგომ კი მას აკლდება სპეციალური განაკვეთის ფარგლებში გადახდილი გადასახადი (სვეტი 6, დანართი B). აქტივის გაყიდვიდან და გაქირავებიდან დანახარჯების შემდგომი დეკომპოზიციისთვის გამოყენებულია 5 პროცენტის განაკვეთისას შემოსავლისა და გადასახადების შესახებ შემოსავლების სამსახურის ინფორმაცია გაყიდვა-გაქირავებაზე. თავდაპირველად მთლიანი PIT გარდაიქმნება საგადასახადო დანახარჯებად საშემოსავლო გადასახადის განაკვეთით, შემდგომ კი გაყიდვა/გაქირავების პროპორციები დათვლილია, როგორც გაყიდვის და გაქირავების საგადასახადო დანახარჯის თანაფარდობა მათი საგადასახადო დანახარჯების ჯამთან.

მონაცემები მიღებულია საქართველოს შემოსავლების სამსახურიდან, საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი 20 პროცენტია, სპეციალური საგადასახადო განაკვეთები ფიზიკური პირისთვის 0-იდან 5 პროცენტამდე დიაპაზონში მერყეობს, ხოლო აქტივის გაყიდვიდან და გაქირავებიდან მიღებულ შემოსავალზე სპეციალური საგადასახადო განაკვეთი მერყეობს 5-იდან 20 პროცენტამდე. შემოსავლების სამსახურის მიერ მოწოდებული მონაცემები საშუალებას იძლევა, რომ საგადასახადო დანახარჯები გავანაწილოთ NACE-2 სექტორებისთვის, საწარმოს ზომის, იურიდიული ფორმისა და რეჟიმების მიხედვით.

5.a.iv აქტივების მთლიანი ამორტიზაციის საგადასახადო დანახარჯი

იმისთვის, რომ შევაფასოთ საგადასახადო დანახარჯი აქტივების მთლიანი ამორტიზაციიდან, საჭიროა გათვალისწინებული იყოს დისკონტის განაკვეთი გადანაწილებული ამორტიზაციის პირობებში, რაც ბენჩმარკად არის აღებული. ბენჩმარკიდან გადახრის შეფასებისთვის, IMF-ის მიერ შემოთავაზებულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, დაშვებულია, რომ თუ აქტივის ამორტიზაცია ერთ წელში არ მოხდებოდა, მაშინ საშემოსავლო გადასახადისთვის ის 5 წელზე იქნებოდა გადანაწილებული, ხოლო მოგების გადასახადის შემთხვევაში - 10 წელზე. ამ დაშვების შემდგომ გამოითვლება ხორციელდება შემდეგნაირად: მთლიანად ამორტიზებული აქტივები იყოფა მოცემულ წლებზე (საშემოსავლო გადასახადისთვის 5, ხოლო მოგების გადასახადისთვის - 10 წელზე), შემდგომ კი გამოითვლება ალტერნატიული დანახარჯი, როგორც მიღებული რიცხვები გამრავლებული შესაბამის (საშემოსავლო ან მოგების) საგადასახადო განაკვეთზე და დისკონტირებული (მეორე წლიდან) დისკონტის განაკვეთით. ბოლოს, მთლიანი საგადასახადო დანახარჯი აქტივების ამორტიზაციიდან დათვლილია, როგორც არადისკონტირებულ დანახარჯსა (მიუღებელი

საგადასახადო შემოსავალი) და დისკონტირებულ დანახარჯს შორის სხვაობა, რაც ბენჩმარკიდან გადახრას გვიჩვენებს.

აქტივების ამორტიზაციის შესახებ მონაცემები მიღებულია საქართველოს შემოსავლების სამსახურიდან, საშემოსავლო გადასახადი 20 პროცენტის ტოლია, ხოლო მოგების გადასახადი - 15 პროცენტის. საშემოსავლო გადასახადისთვის დისკონტის განაკვეთად აღებულია მთავრობის 5 წლიან ობლიგაციებზე საშუალო საპროცენტო განაკვეთი, რაც შეფასების მომენტში 7.79 პროცენტს უდრიდა, ხოლო მოგების გადასახადისთვის აღებულია მთავრობის 10 წლიანი ობლიგაციების საშუალო საპროცენტო განაკვეთი, რაც 9.04 პროცენტს უტოლდებოდა შეფასების დროს.

5.b სენსიტიურობის ანალიზი

5.b.i საპროცენტო შემოსავლის საგადასახადო დანახარჯი

საპროცენტო შემოსავლის საგადასახადო დანახარჯი (მუხლი 131.5) არაა პირდაპირ დაკვირვებადი. მისი შეფასებისთვის საჭიროა დაითვალოს ყოველთვიური საპროცენტო შემოსავალი დეპოზიტების მარაგზე და შემდგომ გამრავლდეს შესაბამის (5 პროცენტიან) საგადასახადო განაკვეთზე, გაწლიურებისთვის კი მრავლდება 12-ზე. სენსიტიურობის ანალიზისთვის აღნიშნულ ანგარიშში გამოყენებულია შეფასების 4 მეთოდი დეპოზიტებზე ყოველთვიური შემოსავლების შეფასებისას, რათა შემოწმდეს მიღებული შედეგების სენსიტიურობა.

პირველი მეთოდი შემოთავაზებული იქნა Swistak et al. (2022)-ის მიერ, რაც ეფუძნებოდა USAID (2021)-ის ანგარიშში გამოყენებული შეფასების მეთოდს. აღნიშნული მეთოდი უშვებს საპროცენტო პარიტეტის არსებობას ლარსა და უცხოურ ვალუტაში (FC) დენომინირებულ დეპოზიტებს შორის. ამ მეთოდის მიხედვით, რამდენადაც საპროცენტო პარიტეტია დაშვებული, ლარში გამოსატული მთლიანი დეპოზიტები (ლარში და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული დეპოზიტების ჯამი) გამრავლებულია ლარის საპროცენტო განაკვეთზე.

მეორე მეთოდით მოხდა პირველი მეთოდის მოდიფიცირება საპროცენტო პარიტეტის დაშვების გაუქმებით. იმ დაშვების ნაცვლად, რომ ლარში და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ დეპოზიტებზე რეალური საპროცენტო განაკვეთები (გაცვლითი კურსით კორექტირებული) ტოლია, მოცემული მეთოდით დეპოზიტები ორ ნაწილადაა გაყოფილი: ლარში დენომინირებული და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული (ამ მეთოდისთვის აშშ დოლარში დენომინირებული). შემდგომ კი ლარისა და დოლარის დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები გამოყენებულია შესაბამისი დეპოზიტების მარაგებზე ყოველთვიური საპროცენტო შემოსავლის დასათვლელად.

მესამე მეთოდისთვის, მეორე მეთოდზე დამატებით გათვალისწინებულია საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებები. ვინაიდან საშემოსავლო გადასახადი გადახდილი უნდა იყოს თვის დასაწყისიდან აღნიშნული თვის 15 რიცხვამდე და გადასახადის გადახდა


მხოლოდ ლარშია შესაძლებელი, იმ პირებმა, ვისაც უცხოურ ვალუტაში აქვთ დეპოზიტები განთავსებული, გადასახადის გადახდისთვის უნდა დააკონვერტირონ თავისი შემოსავალი ლარში და ამის შემდეგ, შესაბამისი საგადასახადო განაკვეთით უნდა გადაიხადონ გადასახადი. ამის გათვალისწინებით, საპროცენტო განაკვეთის საგადასახადო დანახარჯი ყოველ მოცემულ თვეში დათვლილი უნდა იყოს, როგორც წინა თვის საპროცენტო შემოსავალი კონვერტირებული ლარში ამ თვის პირველი 15 დღის საშუალო ლარი/დოლარი გაცვლითი კურსით და შემდეგ გამრავლებული საგადასახადო განაკვეთზე. ამ მეთოდით (საშუალო არითმეტიკული) ირიბადაა დაშვებული, რომ გადასახადების გადახდა თანაბრადაა განაწილებული პირველ 15 დღეზე.

ბოლო მეთოდით, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული დეპოზიტების დეკომპოზიცია ხდება შემდეგი ვალუტების მიხედვით - აშშ დოლარი, ევრო, ფუნტი სტერლინგი და სხვები. საპროცენტო განაკვეთები აშშ დოლარისთვის, ევროსთვის და ფუნტი სტერლინგისთვის აღებულია პირდაპირ მონაცემებიდან, ხოლო სხვა ვალუტებისთვის ის წარმოადგენს ამ ვალუტების დეპოზიტების შეწონილ უფექტურ საპროცენტო განაკვეთს.

მონაცემები ფიზიკური პირების დეპოზიტების, საპროცენტო განაკვეთების და გაცვლითი კურსების შესახებ აღებულია საქართველოს ეროვნული ბანკისგან. მოცემული რაოდენობრივი ანალიზისას ჩათვლილია, რომ საპროცენტო შემოსავალი გარკვეულწილად წარმოადგენს კაპიტალურ შემოსავალს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში დეპოზიტზე განთავსებული ფული გამოყენებული იქნებოდა კაპიტალურ ინვესტიციებში. შესაბამისად, საგადასახადო განაკვეთად აღებულია 5 პროცენტი, რაც განსხვავდება USAID (2021)-ის მიერ შემოთავაზებული 20 პროცენტისგან.

სენსიტიურობის ანალიზისათვის გამოყენებულ იქნა ოთხივე მეთოდი. როგორც მოსალოდნელი იყო, ვინაიდან უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების წილი დიდია მთლიან დეპოზიტებში, ხოლო ლარში განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები მაღალია, პირველი მეთოდით მიღებული შედეგები ყველაზე მაღალ საგადასახადო დანახარჯებს აჩვენებს. რაც უფრო მოდიფიცირებულია მეთოდი, მით უფრო მცირდება საგადასახადო დანახარჯი (იხ. გრაფიკი A.1). 2021 წლისთვის, პირველი მეთოდით შეფასებული საპროცენტო განაკვეთის საგადასახადო დანახარჯი შეადგენდა 85.2 მლნ ლარს (მშპ-ს 0.14 პროცენტი, საგადასახადო შემოსავლების 0.74 პროცენტი), ხოლო როდესაც დეპოზიტების დეკომპოზიცია ხდება ვალუტებისა და საპროცენტო განაკვეთების მიხედვით, საგადასახადო დანახარჯი 2-ჯერ მეტად მცირდება 34.6 მლნ ლარამდე (მშპ-ს 0.06 პროცენტი, საგადასახადო შემოსავლების 0.3 პროცენტი). მოცემული ანგარიშის რაოდენობრივი შეფასებისთვის გამოყენებულია მეოთხე მეთოდით მიღებული შედეგები, რაც არ ითვალისწინებს საპროცენტო პარიტეტს, კორექტირებულია გადასახადის გადახდის პერიოდითა და ვალუტების დეკომპოზიციით.

გრაფიკი A.1 სენსიტიურობის ანალიზი: საპროცენტო შემოსავლის საგადასახადო დანახარჯები, 2018-2021



წყარო: ეროვნული ბანკი და სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშება

* საშუალო ლარი-დოლარის გაცვლითი კურსი დათვლილია თვის ბოლოდან შემდგომი თვის 15 რიცხვამდე

**საშუალო ლარი-დოლარის გაცვლითი კურსი დათვლილია თვის ბოლოდან შემდგომი თვის 15 რიცხვამდე, მოდიფიცირებულია ვალუტის დეკომპოზიციით GEL, USD, EUR და სხვა

5.b.ii “მცირე ბიზნესის სტატუსის” მქონე საწარმოების საგადასახადო დანახარჯები

საგადასახადო დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მცირე ბიზნესის სტატუსთან (მუხლი 90.1 და 90.2), შესაძლებელია ირიბად იყოს შეფასებული იმ დაშვებით, თუ რა მოგების მარჟა ექნებოდათ საწარმოებს, ჩვეულებრივი საგადასახადო განაკვეთით რომ ყოფილიყვნენ დაბეგრელები. მოგების მარჟის შესაფასებლად, USAID (2021)-ის ანგარიშში გამოყენებულია ბრუნვისა და მოგების მონაცემები ყველა საწარმოსთვის და შემდეგ გამოანგარიშებულია მოგების საშუალო მარჟა 2015-2019 წლებისთვის, რაც 6.36 პროცენტს გაუტოლდა. ვინაიდან მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე საწარმოს დასაბეგრი შემოსავალი არ უნდა აღემატებოდეს 500 000 ლარს, ყველა ზომის (მსხვილი, საშუალო, მცირე) საწარმოსთვის დათვლილი მოგების მარჟა შესაძლოა განსხვავდებოდეს „ნამდვილი“ მოგების მარჟისგან, რაც მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე საწარმოებს გააჩნიათ. იმისათვის რომ შეფასდეს, თუ რამდენად სენსიტიურია საგადასახადო დანახარჯები მოგების მარჟის სიდიდესთან, მოცემული ანალიზისათვის დათვლილია ალტერნატიული მოგების მარჟები. დათვლისას გამოყენებულია როგორც მხოლოდ მცირე ზომის²³ საწარმოების ბრუნვა და მოგება, ასევე - მთლიანი ბიზნეს სექტორის მოგების მარჟები 2016-2020 წლებისთვის და შეფასებისთვის აღებულია მოცემული მარჟების საშუალო მნიშვნელობაც.

²³ მცირე ბიზნესის განმარტება საქსტატის მიხედვით - წლიური დასაქმება არ აღემატება 20 დასაქმებულს და მთლიანი შემოსავალი არ აღემატება 500 000 ლარს.

მონაცემები საწარმოების ბრუნვაზე და მოგებაზე აღებულია საქსტატის ბიზნეს სექტორის პუბლიკაციებიდან²⁴. საგადასახადო განაკვეთი 20 პროცენტის ტოლია.

ცხრილი A.5. მოგების მარჯები მთლიანი ბიზნეს სექტორისთვის

წელი	2016	2017	2018	2019	2020	2016-2020 წლების საშუალო
ბრუნვა	64,081.8	71,740.3	86,625.2	109,024.4	114,348.5	
მოგება	4,179.6	6,002.5	5,925.8	6,999.8	3,350.0	
მოგების მარჯა	6.5%	8.4%	6.8%	6.4%	2.9%	6.2%

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ფინანსთა სამინისტროს განგარიშება

ცხრილი A.6. მოგების მარჯები მცირე ზომის ბიზნეს სექტორისთვის

წელი	2016	2017	2018	2019	2020	2016-2020 წლების საშუალო
ბრუნვა	21,785.7	22,970.6	25,179.2	27,454.1	27,169.3	24,911.8
მოგება	1,866.3	1,747.1	2,517.9	3,415.4	2,981.2	2,505.6
მოგების მარჯა	8.6%	7.6%	10.0%	12.4%	11.0%	9.9%

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ფინანსთა სამინისტროს განგარიშება

ცხრილი A.7. საშუალო მოგების მარჯები

წელი	2016	2017	2018	2019	2020	2016-2020 წლების საშუალო
მოგების მარჯა	7.5%	8.0%	8.4%	9.4%	7.0%	8.1%

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ფინანსთა სამინისტროს განგარიშება


ახალი გამოთვლებით, მოგების მარჯა მერყეობს 6.2-დან 9.9 პროცენტამდე. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე საწარმოებისთვის საგადასახადო დანახარჯების სენსიტიურობის შესამოწმებლად გამოყენებულია მოგების მარჯის სამივე მნიშვნელობა, რაც შედეგადად მიკრო ბიზნეს სტატუსის მქონე საწარმოებისგან, რომლებიც იბეგრებიან მთლიანი შემოსავლის 1 პროცენტით და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე საწარმოებისგან, რომლებიც იბეგრებიან მთლიანი შემოსავლის 3 პროცენტით. აღსანიშნავია, რომ USAID (2021)-ის ანგარიშისგან განსხვავებით, დოკუმენტში მოგების მარჯების დათვლისას გამოყენებული პერიოდი 2016-2020 წლებს მოიცავს (USAID-ის ანგარიშის შემთხვევაში 2015-2019 წლები), ამიტომ USAID (2021)-ის ანგარიშში მიღებული მოგების მარჯის მნიშვნელობა (6.36 პროცენტი) განსხვავდება მოცემულ რეპორტში მიღებული მარჯისგან (6.22 პროცენტი) (ცხრილი A.5). ამ დოკუმენტის რაოდენობრივი

²⁴ იხილეთ <https://www.geostat.ge/ka/single-categories/105/biznes-seqtori-sakartveloshi>

შეფასებისას გამოყენებულია 2016-2020 წლებისთვის შეფასებული მოგების მარჯის მნიშვნელობა (6.22 პროცენტი).

2021 წლისთვის საგადასახადო დანახარჯი საწარმოებისგან, რომლებიც იბეგრებიან 1 პროცენტით, მერყეობდა 5.7 მლნ ლარიდან (6.2 პროცენტი მოგების მარჯა) 23.0 მლნ ლარამდე (9.9 პროცენტი მოგების მარჯა). ხოლო 3 პროცენტით დაბეგრისას საწარმოების საგადასახადო დანახარჯები მერყეობდა -1.0 მლნ ლარიდან (6.2 პროცენტი მოგების მარჯა) -0.6 მლნ ლარამდე (9.9 პროცენტი მოგების მარჯა). ამ ანალიზით ჩანს, რომ საგადასახადო დანახარჯი 1 პროცენტით დაბეგრული საწარმოებისთვის ძალიან მგრძობიარეა მოგების მარჯის მაჩვენებლის მიმართ (გრაფიკი A.2). ამიტომ, საგადასახადო დანახარჯების რეალური ზომა შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ანგარიშში მიღებული შეფასებებისგან, თუ რეალური მოგების მარჯა განსხვავდება ანგარიშში შეფასებული მნიშვნელობისგან. საგადასახადო დანახარჯი მცირე ზომის საწარმოებისთვის, რომლებიც 3 პროცენტით იბეგრებიან, მცირეა და ძირითადად უარყოფითია, ვინაიდან ზოგიერთ შემთხვევაში დასაბეგრი შემოსავლის ნამრავლი 20 პროცენტიან საშემოსავლო გადასახადსა და მოგების მარჯაზე (რაც უნდა იყოს გადახდილი) ნაკლებია დარიცხულ გადასახადზე (რაც არის გადახდილი). ამასთან, ვინაიდან აღნიშნული საწარმოები არ ავლენენ მსგავს სენსიტიურობას მოგების მარჯასთან მიმართებაში, შეიძლება ითქვას, რომ თუ რეალური მოგების მარჯა განსაკუთრებულად არ აღემატება ანგარიშში შეფასებული მარჯის მნიშვნელობას, დადებითი საგადასახადო დანახარჯი 3 პროცენტით დაბეგვრად მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისთვის მოსალოდნელი არ არის.

გრაფიკი A.2. სენსიტიურობის ანალიზი: მცირე ბიზნესის საგადასახადო დანახარჯი, 2018-2021



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ფინანსთა სამინისტროს განგარიშება

დანართი 6: დღგ-ს საგადასახადო დანახარჯის (VATE) შეფასების მეთოდები და მონაცემები, სენსიტიურობის ანალიზი

6.a მეთოდოლოგია და მონაცემები²⁵

დღგ-ს საგადასახადო დანახარჯის (VATE) შესაფასებლად საჭიროა რესურსებისა და გამოყენების ცხრილების (Supply and Use tables – SUTs) გამოყენება. რესურსებისა და გამოყენების ცხრილები მოიცავს ინფორმაციას 88 სექტორზე NACE-2 აგრეგირებულ დონეზე. აღნიშნული ცხრილი სიმეტრიულია (წარმოადგენს 88x88 საქონელი-საქმიანობის მატრიცას). VATE-ს შეფასებისას ასევე გამოყენებულია მონაცემები დღგ-ს რეგისტრაციასა და დაბრუნებაზე, რათა შეფასდეს, NACE-2 კოდების მიხედვით, დღგ-ს ბრუნვის რა ნაწილია დაბეგვრადი, გათავისუფლებული და ნულოვანი დაბეგვრით. მიღებული შედეგები შემდგომ გამოიყენება ახალი მატრიცის შესაქმნელად, რაც დაბეგვრად პროპორციებს (TP) შეიცავს. მოცემული TP მატრიცა ისეა შედგენილი, რომ აღნიშნული პროპორციები ემთხვეოდეს რესურსებისა და გამოყენების მატრიცის სექტორებს NACE-2 აგრეგაციის დონეზე. VATE-ს მოდელირებისას, IMF-ის მიერ შემოთავაზებული იქნა დამატებითი დაშვებები, რომლებიცაა:

- 100% ნულოვანი დაბეგვრა სასოფლო-სამეურნეო და ფარმაცევტულ პროდუქტებზე (NACE-2 კოდები 01 და 21);
- 100% გათავისუფლება შემდეგ სექტორებში: ბავშვთა დაცვა, განათლება, აზარტული თამაშები, ჯანდაცვა და მსუბუქი ავტომობილები (NACE-2 კოდებით 88, 85, 92, 86 და 29).

VATE-ს მოდელში, დღგ-ს საგადასახადო ბაზა დადგენილია SUT „გამოყენების“ მატრიცის გამოყენებით. სრულად დაბეგვრად ობიექტებზე, როგორცაა შინამეურნეობების და მთავრობის საბოლოო მოთხოვნა, SUT მატრიცის შესაბამის ვექტორზე, საგადასახადო ბაზის დასადგენად გამოყენებულია სტანდარტული დღგ-ს 18 პროცენტის განაკვეთი. ვინაიდან დღგ-საგან გათავისუფლება ხდება შუალედურ მოხმარებაზე, საგადასახადო ბაზის დასადგენად შუალედური მოხმარების მატრიცა გამოყენებული. ნულოვანი დაბეგვრის ობიექტებზე კი საბოლოო მოთხოვნაზე საგადასახადო ვალდებულება 0-ით განისაზღვრება. ვინაიდან SUT-ის სხვადასხვა ნაწილი ექვემდებარება დღგ-ს სხვადასხვა სახით დაბეგვრას (რაც ერთმანეთთან სექტორულადაც არის დაკავშირებული, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ეფექტური დღგ-ს გადასახადის რეალურთან შედარებით მეტობა), ამიტომ მოდელში გამოიყენება TP მატრიცა, რათა დანახარჯების მონაცემების შესწორება მოხდეს და იგი დაუახლოვდეს ეფექტური დღგ-ს განაკვეთს. საგადასახადო ბაზის შემდგომი შესწორება ხდება ექსპორტის პროპორციების - „export gross down“ (1-ს გამოკლებული თითოეული საქონლის ექსპორტის წილი) გამოყენებით შუალედურ მიწოდებაზე, დღგ-ს ჩათვლის უფლების არ მქონე პროდუქციის წარმოებისთვის.

დღგ-ს შემოსავლების დათვლის ფორმულაა:

²⁵ ეს თავი ეყრდნობა Swistak et al. (2020) და ითვალისწინებს Gendron and Mylonas (2022)-ის ფარგლებში მიღებულ რეკომენდაციებს.

$$\text{დღგ - ს შემოსავლები}_t = \sum_{i=1}^m \sum_{j=1}^n Use_{ij} * TP_{ij} * VAT\ rate_{ij}$$

სადაც:

- **დღგ-ს შემოსავლები** აღნიშნავს საბაზისო დამატებითი ღირებულების საგადასახადო შემოსავალს საქართველოსთვის t წელს.
- i არის რიგის ნომერი, რომელიც აღნიშნავს საქონელს
- j არის სვეტის ნომერი, რომელიც აღნიშნავს საბოლოო მოთხოვნის საქმიანობას (ინდუსტრიას)
- m არის საქონლის რაოდენობის ნომერი (=88)
- n არის საქმიანობის (ინდუსტრიის) რაოდენობის ნომერი (=88)
- Use_{ij} შეიცავს დანახარჯების შესახებ ინფორმაციას გამოყენების (Use) მატრიციდან შუალედურ ან საბოლოო მოხმარებაზე
- **Tax proportion_{ij}** არის პროპორცია იმ დანახარჯებისა, რომელიც დაბეგვრადია შუალედურ გამოყენებაში ან შინამეურნეობების/მთავრობის საბოლოო მოხმარებაში.
- **VAT rate_{ij}** არის დღგ-ს განაკვეთი, რომელიც შეესაბამება სპეციფიკურ საქონელს ან/და საქმიანობას (ინდუსტრიას)

როგორც ზემოთ აღინიშნა, დღგ-ს საგადასახადო დანახარჯების შეფასება მოხდა „შემოსავლების დანაკარგის“ (“revenue forgone”) მეთოდით.²⁶ ეს ნიშნავს, რომ მოდელი აფასებს თუ რამდენით გაიზრდებოდა დღგ-ს შემოსავლები, თუ რომელიმე შეღავათი გაუქმდებოდა (სხვა თანაბარ პირობებში), რაც გამოითვლება, როგორც სხვაობა დღგ-ს საგადასახადო დანახარჯების გაუქმებით მიღებულ დღგ-ს შემოსავლებსა და იმ შემოსავლებს შორის, რაც დღგ-ს საგადასახადო დანახარჯების პირობებში არსებობს. ამასთან დამატებით, მოდელი აღარებს მიმდინარე დღგ-ს შემოსავლებს ბენჩმარკ დონის დღგ-ს შემოსავლებთან (ბენჩმარკის დათვლისას ხდება დაშვება, რომ ყველა საქონელი/სექტორი მთლიანად ექვემდებარება დაბეგვრას სტანდარტული, 18 პროცენტის განაკვეთით).

მოდელით მიღებული შეფასებები დამოკიდებულია SUT-ის კლასიფიკაციისას არსებულ დაშვებებზე, რაც ეხება სრულად დაბეგვრად, გათავისუფლებულ ან ნულოვან დაბეგვრად სექტორებს. ვინაიდან TP მატრიცა მიღებულია დღგ-ს დაბრუნების მონაცემებისგან NACE-2 დონეზე, იგი შესაძლოა ნაკლებად ზუსტი ან ზედმეტად აგრეგირებული იყოს, რამაც შესაძლოა მოდელის მიერ შეფასების გადაადგილება (bias) გამოიწვიოს. გამოყენებული მეთოდოლოგია ასევე მხედველობაში არ იღებს იმ ფაქტს, რომ შესაძლოა მოხდეს ქცევების შეცვლა საგადასახადო შეღავათის გაუქმების შემთხვევაში.

სენსიტიურობის ანალიზისთვის მოდელი საშუალებას იძლევა, გათვალისწინებული იქნას ეკონომიკის არაფორმალური სექტორი, რისთვისაც გამოიყენება არაფორმალური გამოშვების

²⁶ ეს მიდგომა გულისხმობს მოცემული პუნქტებისთვის არსებული და ბენჩმარკ საგადასახადო რეჟიმის შედარებას, რომელიც არ ითვალისწინებს გადასახადის გადამხდელთა ქცევასა და საგადასახადო ადმინისტრირებაში ცვლილებებს, რაც შესაძლოა საგადასახადო შეღავათის გაუქმებას მოჰყვეს. შესაბამისად, აღნიშნული შეფასების მეთოდი შედარებით ნაკლებად „მომთხოვნი“ მეთოდოლოგიური თვალსაზრისით საგადასახადო დანახარჯის შეფასების სხვა მეთოდებთან შედარებით. იხილეთ, მაგ: Government of Australia (2007).

წილი მოცემული სექტორის მთლიან გამოშვებაში. დღგ-ს საგადასახადო დანახარჯების ანალიზში არაფორმალური სექტორის ჩართვით შესაძლებელი ხდება, საგადასახადო დანახარჯები შეფასებული იყოს მთლიანად დაბეგვრადი არაფორმალური სექტორის გათვალისწინებით.

SUT-ისა და არაფორმალური სექტორის გამოშვების მონაცემები აღებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან (GEOSTAT). ხოლო TP მატრიცისთვის დღგ-ს შესახებ მონაცემები მიღებულია შემოსავლების სამსახურიდან.

SUT-ის შესახებ მონაცემები ერთ წლიანი დაგვიანებით ქვეყნდება (შესაბამისი წლის შემდგომი წლის დეკემბერში). იმისათვის, რომ ეს პრობლემა აღმოიფხვრას, საჭიროა SUT-ის შედგენა უკვე არსებული ეროვნული ანგარიშების მონაცემების მეშვეობით. 2021 წლის 88X88 SUT-ის შესადგენად გამოყენებულია ეროვნული ანგარიშები, მაკროეკონომიკური იდენტობები და სექტორული თანაფარდობები ჯამურ მაჩვენებლებთან. თანაფარდობების მნიშვნელობად აღებულია 2018-2020 წლის საშუალო მაჩვენებლები.

გამარტივებული მიწოდების ცხრილი (Supply Table) გამოიყურება შემდეგნაირად (ცხრილი A.8):

ცხრილი A.8. მიწოდების ცხრილის აგების მაგალითი

CPA 2008 / NACE 2, 2 ორნიშნა კოდი	სექტორი 1	სექტორი 2	სექტორი 3	გამოშვება, სულ	სავაჭრო-სატრანსპორტო დარიცხვა	გადასახადები პროდუქციაზე	სუბსიდიები პროდუქციაზე	იმპორტი, სულ	რესურსები, სულ
პროდუქტი 1									
პროდუქტი 2									
პროდუქტი 3									
სულ				(1)	(2)	(3)	(4)	(5)	1+2 +3 +4 +5

ეროვნული ანგარიშებიდან შემდეგ მონაცემებზეა ინფორმაცია ხელმისაწვდომი - მთლიანი გამოშვება, გადასახადები, სუბსიდიები და იმპორტი (ცხრილი A.8-ის უჯრა 1,3,4,5), რომელიც წარმოადგენს მიწოდების ცხრილის ქვემო გარე შრეს. აღნიშნული მონაცემები საშუალებას იძლევა შეივსოს ცხრილის „შიდა“ ნაწილი სექტორი/პროდუქტი-ის თანაფარდობის გამოყენებით შესაბამის ჯამურ მაჩვენებელთან. ჯამური მონაცემი ვაჭრობისა და ტრანსპორტირების მარჯის შესახებ ნულის ტოლი უნდა იყოს, შესაბამისად ზემოთ მოცემული მეთოდით სექტორული მაჩვენებლების მიღება შესაძლებელი არაა, ხოლო იმისათვის, რომ სრულად შევსებული იყოს მიწოდების ცხრილი საჭიროა ვაჭრობისა და ტრანსპორტირების მარჯის სექტორული მაჩვენებლების შევსება, რისი გამოთვლაც მოხდა ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე დათვლილია შეფარდებითი ვაჭრობისა და ტრანსპორტირების მარჯა შემდეგი ფორმულით:

$$\frac{\text{ვაჭრობისა და ტრანსპორტირების მარჯის წილი მთლიან რესურსებში}}{\text{მთლიან გამოშვებას} + \text{გადასახადები} - \text{სუბსიდიები} + \text{იმპორტი}}$$

აღნიშნული ფორმულის ამოხსნა ვაჭრობისა და ტრანსპორტირების მარჯის მიმართ, ისე რომ მთლიან რესურსებში წილი აღებული იყოს როგორც 2018-2020 წლის საშუალო, ვაჭრობისა და ტრანსპორტირების მარჯისთვის სექტორული მონაცემების მიღების საშუალებას იძლევა. მთლიანი რესურსები გამოითვლება მთლიანი გამოშვების, პროდუქტზე გადასახადების, იმპორტის და ვაჭრობისა და ტრანსპორტირების მარჯის ჯამისა და სუბსიდიების სხვაობით.

გამოყენების (Use) ცხრილის შედგენაც მსგავსი მეთოდითაა შესაძლებელი. გამარტივებული გამოყენების ცხრილი შემდგენიერად გამოიყურება (ცხრილი A.9):

ცხრილი A.9. გამოყენების ცხრილის აგების მაგალითი

CPA 2008 / NACE 2, 2 ორნიშნა კოდი	სექტორი 1 სექტორი 2 სექტორი 3	შუალედური მოხმარება, სულ	ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე, სულ	ექსპორტი, სულ	კაპიტალის მთლიანი ფორმირება	მთლიანი საბოლოო მოხმარება	გამოყენება, სულ
პროდუქტი 1							
პროდუქტი 2							
პროდუქტი 3							
სულ		(1)	(2)	(3)	(4)	(2+3+4)	მთლიანი მიწოდება

მონაცემები საბოლოო გამოყენებაზე, ექსპორტზე და მთლიანი კაპიტალის ფორმირებაზე ხელმისაწვდომია ეროვნულ ანგარიშებიდან. შუალედური მოხმარების გამოთვლა ირიბადაა შესაძლებელი, ვინაიდან მთლიანი მიწოდების შესახებ მონაცემი უკვე მიღებულია მიწოდების ცხრილის აგების დროს. ეროვნული ანგარიშების იდენტობებიდან გამომდინარე მთლიანი მიწოდება მთლიანი მოხმარების ტოლი უნდა იყოს, შესაბამისად საბოლოო გამოყენების გამოკლებით მთლიან მოხმარებაზე (რომელიც მთლიანი მიწოდების ტოლია) ვიღებთ შუალედურ მოხმარებას. ამის შემდგომ ცხრილის „შიდა“ ნაწილის შესავსებად გამოიყენება იგივე მეთოდი რაც მთლიანი მიწოდების „შიდა“ ნაწილის შესავსებად.

ზემოთ მოცემული გამოთვლებისათვის გამოყენებულია 2018-2020 წლების SUT-ები. იმისთვის, რომ მიღებული შედეგები ყოფილიყო უფრო რეპრეზენტატიული, აღებულია 2018-2020 წლების საშუალო, რადგან მხოლოდ წინა წლის მონაცემების თანაფარდობის გამოყენებას შესაძლოა მეტად გადაადგილებული შედეგი მოეცა, ვინაიდან 2020 წელს ადგილი ჰქონდა COVID-19-ით გამოწვეულ რეცესიას. ამასთან, 88X88 SUT-ების შესახებ მონაცემები მხოლოდ 2018 წლიდანაა ხელმისაწვდომი, ამიტომ უფრო გრძელი მწკრივის გამოყენება საშუალო თანაფარდობების დასათვლელად არაა შესაძლებელი. 2021 წლის SUT-ის გამოქვეყნებისთანავე ახლიდან გადაითვლება და ანგარიშშიც დაზუსტდება შესაბამისი მონაცემები, ხოლო მომდევნო წლის დღგ-ს საგადასახადო დანახარჯების შესაფასებლად საჭირო მონაცემებისთვის კვლავ აღნიშნული მიდგომა იქნება გამოყენებული, შესაბამისი დაშვებების გათვალისწინებით.

6.b სენსიტიურობის ანალიზი

დღგ-ს საგადასახადო დანახარჯების შეფასებისას არაფორმალური სექტორი შესაძლოა სხვადასხვა გზით იყოს გამოყენებული. იმის გათვალისწინებით, რომ არაფორმალურ სექტორს მთლიან გამოშვებაში ორნიშნა წილი აქვს (დაახლოებით 13 პროცენტი²⁷ 2018-2020 წლებისთვის), მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, ჩართული უნდა იყოს თუ არა არაფორმალური სექტორი დღგ-ს ბენჩმარკში. დღგ-ს საგადასახადო დანახარჯების შეფასების გამოთვლისთვის სენსიტიურობის ანალიზი ეყრდნობა 2 დაშვებას:


²⁷ სტატისტიკის ეროვნული სამსახური, SUT ცხრილები. იხ: <https://www.geostat.ge/en/modules/categories/632/supply-and-use-tables-new>

პირველი მიდგომით არაფორმალური სექტორი არ არის ჩართული მთლიანი დღგ-ს საგადასახადო დანახარჯების დათვლისას. აღნიშნული მიდგომა წარმოადგენს ძირითად მეთოდს დღგ-ს დანახარჯების შეფასებისას, მოცემულ საგადასახადო დანახარჯების ანგარიშში.

მეორე მიდგომა ითვალისწინებს მთლიანად დაბეგვრად არაფორმალურ სექტორს, რაც გულისხმობს, რომ არაფორმალური სექტორი გათავისუფლებულია ჩათვლის უფლების გარეშე.

იმისათვის, რათა შედეგები ყოფილიყო თვალსაჩინო, მოცემულ რაოდენობრივ ანალიზში გაანალიზებულია მთლიანი გადახრა ორივე დაშვების შემთხვევაში. ამ ორი მეთოდით შეფასებული დღგ-ს დანახარჯები მერყეობს 2,464 მლნ ლარიდან (არაფორმალურის გარეშე) 2,570 მლნ ლარამდე (სრულად დაბეგვრადი არაფორმალური სექტორი), რაც მშპ-სთან მიმართებაში შეადგენს 4.11 და 4.28 პროცენტებს 2021 წლისთვის (გრაფიკი A.3).

გრაფიკი A.3. სენსიტიურობის ანალიზი: შეფასებული დღგ-ს დანახარჯები არაფორმალურ სექტორზე სხვადასხვა დაშვების პირობებში



წყარო: შემოსავლების სამსახური და სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშება

წყარო: შემოსავლების სამსახური და სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშება

მთლიანი შეფასებული VATE 2018-2021 წლებში შემცირდა მშპ-ს 4.50 პროცენტიდან 4.11 პროცენტამდე არაფორმალური სექტორის გარეშე. ამასთან, ის შემცირდა მშპ-ს 4.74 პროცენტიდან (2018) 4.28 პროცენტამდე (2021) სრულად დაბეგვრადი არაფორმალური სექტორის ჩართვის შემთხვევაში. VATE მნიშვნელოვნად არ იცვლება მიუხედავად იმისა, შეფასებაში გათვალისწინებულია თუ არა არაფორმალური სექტორი.

ამდენად, დღგ-ს საგადასახადო დანახარჯების რაოდენობრივი შეფასებისას არაფორმალური სექტორის გაუთვალისწინებლობა ძირითად მიდგომად მიიჩნევა (იხ. თავი IV.b.). სრულად დაბეგვრადი არაფორმალური სექტორის გათვალისწინებასთან შედარებით, ანგარიშში გამოყენებული მიდგომა უფრო კონსერვატიულია. შესაძლოა ითქვას, რომ ეს არის საქართველოს დღგ-ს საგადასახადო დანახარჯების ზედა ზღვარი. ამ მიდგომით, დღგ-ს საგადასახადო დანახარჯები 2,008 მლნ ლარიდან 2,464 მლნ ლარამდე გაიზარდა, თუმცა მშპ-სთან მიმართებაში შემცირდა (2018 წლის მშპ-ს 4.50 პროცენტიდან, 2021 წლის მშპ-ს 4.11 პროცენტამდე).

გამოყენებული ლიტერატურა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი,

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=186>

Australian Government. (2007). Department of Treasury. Tax Expenditures Statement 2007. Canberra, Commonwealth of Australia. Available at: <https://treasury.gov.au/publication/tax-expenditures-statement-2007>

Gendron, P.-P., & Mylonas, V. (2022). Georgia: Capacity Development in Tax Expenditure Assessment. Technical Report | April 2022. Fiscal Affairs Department, International Monetary Fund.

Heady, C. & Mansour, M. (2019). Tax Expenditure Reporting and its Use in Fiscal Management: A Guide for Developing Economies. How-to-Note No. 19/2. Fiscal Affairs Department, International Monetary Fund, Washington, DC.

Available at: <https://www.imf.org/~media/Files/Publications/HowToNotes/HTNEA2019002.ashx>

IMF (2018). *Fiscal Transparency Handbook*. International Monetary Fund, Washington, DC.

<https://doi.org/10.5089/9781484331859.069>

OECD (2010). Tax Expenditures in OECD Countries. OECD Publishing, Paris, <https://doi.org/10.1787/9789264076907-en>

Swistak, A., de la Feria, R., Gendron, P.-P., & Mylonas, V. (2020). *Georgia: VAT Expenditure Policy*. Technical Report, November 2020. Fiscal Affairs Department, International Monetary Fund, Washington, DC.

Swistak, A., Vellutini, C., Gendron, P.-P., & Mylonas, V. (2022). *Georgia: Follow-Up on Tax Expenditure Assessment*. Technical Report, February 2022. Fiscal Affairs Department, International Monetary Fund, Washington, DC.

United States Agency for International Development (USAID). 2021. *Analysis of Tax Expenditures. Technical Report*. USAID, Washington, DC.